

აგრარული რადიოლოგიისა და ეკოლოგიის ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

თამარ ბრეგაძე

გამა რადიაციის გავლენა თუთის აბრეშუმმხვევიას

ცხოველმყოფელობაზე

სპეციალობა: 03.00.01 რადიობიოლოგია

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო

ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ს.მ. მეცნიერებათა დოქტორი,

სმმა-ის აკადემიკოსი,

პროფესორი ზაურ ჩანქსელიანი

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

ნიკოლოზ ფარცხალაძე

თბილისი

2006

## შინაარსი

შესავალი.

თავი 1. ლიტერატურული მიმოხილვა.

- 1.1 მეაბრეშუმეობის მოკლე ისტორიული მიმოხილვა.
- 1.2 საქართველოს მეაბრეშუმეობის მოკლე ისტორიული მიმოხილვა.
- 1.3 თუთის აბრეშუმხვევიას გრენაში დიაპაუზისა და ემბრიოგენეზის საკითხისათვის.
- 1.4 ჭიის ასაკთან დაკავშირებით აბრეშუმის ძაფის სიმსხოს დინამიკა.
- 1.5 მწერების რადიომგრძობიარობა ონტოგენეზში.

თავი 2. მასალა, ექსპერიმენტი და მეთოდოლოგია.

თავი 3. გამა გამოსხივების გავლენა აბრეშუმის ჭიის ცხოველმყოფელობაზე.

თავი 4. რადიაციის გავლენა თუთის აბრეშუმხვევიას პროდუქტიულობაზე.

- 4.1 2001-2003 წლების ექსპერიმენტი.
- 4.2 2004 წლის ექსპერიმენტი.
- 4.3 2005 წლის ექსპერიმენტი.

დასკვნები.

დანართი 1-3.

გამოყენებული ლიტერატურა.

## შესავალი

XX საუკუნის ბოლოს ქიმიური ბოჭკოების წარმოების სწრაფმა ზრდამ ნატურალური ბოჭკოების წარმოების შემცირება გამოიწვია. ნატურალური აბრეშუმი თანდათან შეიცვალა ხელოვნური ბოჭკოებით. მაგამ ქიმიურ ბოჭკოს არ შეუძლია მთლიანად შეცვალოს ნატურალური აბრეშუმი, რომელსაც კომპლექსური თვისებები გააჩნია, რითაც იგი გამოირჩევა სხვა ბოჭკოებისაგან. ნატურალური აბრეშუმის ძვირადღირებულება მის გასაიაფებლად გზების გამონახვას მოითხოვს. ეს კი შესაძლებელია, მხოლოდ პარკების ხარისხის მკვეთრი ზრდით, ახალი ტექნოლოგიისა და ტექნიკის მეშვეობით.

დღევანდელ დღეს საქართველოში მრეწველობა კრიზისს განიცდის. არ მუშაობს წარმოების თითქმის 80%. კრიზისს განიცდის მსუბუქი მრეწველობის თითქმის ყველა დარგი და მათ შორის აბრეშუმის მრეწველობაც. ამდენად დღეისათვის ძალზედ მნიშვნელოვან როლს იძენს ეგეთ წოდებული «აბრეშუმის გზის» მშენებლობა, რომელმაც მრეწველობისა და ეკონომიკის დარგების აღორძინებაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს.

აბრეშუმის დიდი სავაჭრო გზისადმი ინტერესი დღემდე თუ მხოლოდ მეცნიერული იყო, კასპიის ნავთობისადმი დასავლეთის პოლოტიკური და ეკონომიკური წრეების მხრიდან ყურადღების გააქტიურებამ ძველ გზას ახალი სიცოცხლე შესძინა. დღეისათვის ამ გზაზე დიდი ნავთობსადენის გატარება იგეგმება. ამ გზის, მსოფლიო

აბრეშუმის გზის აღორძინება, ტრანსეკას – ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის შექმნა ერთ-ერთი უდიდესი ისტორიული მოვლენაა XX და XXI საუკუნეების მიჯნაზე. ამ გზით იწყება დიდი აბრეშუმის გზის მსოფლიო ისტორია. აბრეშუმის გზით მხოლოდ აბრეშუმი არ იმოძრაავს. ეს თანამედროვე და მომავალი მსოფლიოს უდიდესი სავაჭრო გზაა, ტრანსეკას ქვეყნების, კავკასია – ევრაზიის საერთო ბაზრების გზაა.

დღეს აბრეშუმის გზის ახალი სიცოცხლე არა მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარების მნიშვნელოვანი წინა პირობაა, არამედ ევრაზიის ვრცელი რეგიონის მაინტეგრირებელ და დამაბალანსებელ ფაქტორადაც გვევლინება.

**კვლევის მიზანი.** ცნობილია, რომ თუთის აბრეშუმმხვევიას კულტივირება არახელსაყრელი ზაფხულის, ზაფხულ-შემოდგომის პირობებში ჰიდროთერმორეჟიმისა და თუთის ფოთლის საკვები თვისებების ცვლილებების გამო ჭიების ცხოველმყოფელობა და მოსავალი მცირდება თითქმის ორჯერ.

ჩვენი კვლევის მიზნად დავისახეთ დადგინდეს დიაპაუზაში მყოფ გრენაზე მწვავე და პროლონგირებული გამა დასხივების ზემოქმედების გავლენა თუთის აბრეშუმმხვევიას ცხოველმყოფელობაზე სხვადასხვა თაობებში. აგრეთვე ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა მაღალი პროდუქტიული ჯიშის მისაღწევად სელექციისათვის საწყისი ფორმების მიღება.

**პრობლემის აქტუალობა.** XX საუკუნეში მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების შედეგად მოწამლულმა ჰაერმა, ნიადაგმა და წყალმა დააზიანა მთელი ბიოსფერო, მისი დამცველი ატმოსფერული შრე.

მცენარეებს, ადამიანებს და ცხოველებს დაუქვეითდათ იმუნიტეტი, ამიტომ სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება გარემოს ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებას.

თუთის აბრეშუმმხვევიაზე რადიაციის ზემოქმედებით საჭიროა მივალწიოთ ისეთი მუტანტების შერჩევას, რომლებსაც ექნებათ გენეტიკურად განმტკიცებული დადებითი სამეურნეო ნიშან-თვისებები, როგორცაა პარკის მასის და მის გარსში აბრეშუმმემცველობის მომატება და ინფექციის მიმართ გამძლეობის გაზრდა.

კვლევის ობიექტი და მეთოდика. იმ მიზნით, რომ აბრეშუმმხვევიაზე რადიაციის ზემოქმედებით მივალწიოთ ისეთი მუტანტების შერჩევას, რომლებსაც ექნებათ გენეტიკურად განმტკიცებული დადებითი სამეურნეო ნიშან-თვისებები, რადიოსელექციური მუშაობის დაწყებამდე უნდა შეირჩეს რადიაციის დოზები. ექსპერიმენტის ყოველ წელიწადს თუთის აბრეშუმმხვევიას გრენა ინახებოდა მაცივარში +2-5 გრადუს ცელსიუს ტემპერატურაზე. გაზაფხულზე (აპრილი, მაისი) გრენა ნადებების სახით თავსდებოდა თერმოსტატში, ჰაერის ტემპერატურა +25<sup>0</sup>ჩ, შეფარდებითი ტენიანობა – 70%.

2001 და 2002 წელს ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგად დადგინდა რადიაციის სასტიმულაციო დოზები. აგრეთვე ის ჯიშები და ჰიბრიდები, რომლებზეც მუშაობა გაგრძელდა შემდგომ 2003-2005 წლებში.

მეცნიერული სიახლე. ჩვენს მიერ, პირველად საქართველოში, მიზნობრივი ცდებით დადგინდა თუთის აბრეშუმმხვევიას გრენაზე რადიაციის სხვადასხვა დოზების გავლენა ჭიის ცხოველმყოფელობასა და პროდუქტიულობაზე. ექსპერიმენტის შედეგებით მიღებულ იქნა ისეთი მუტანტები, რომლებიც უფრო გამძლენი არიან გარემო

არახელსაყრელი პირობებისადმი და გარსისა და პარკის მასის მეტ მოსავალს იძლევიან აბრეშუმთანობის რაოდენობასა და ხარისხთან მიმართებაში.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. გამოკვლევითი მასალებით დადგენილი იქნა, რომ ყოველი მომდევნო თაობის აბრეშუმმხვევის გრენაზე მაიონიზებული გამოსხივების ზემოქმედება ზრდის ჭიის რადიორეზისტენტობას; დადგინდა თუთის აბრეშუმმხვევისას ის ჯიში და ჰიბრიდი, რომელიც უხვ მოსავალს იძლევა რადიაციის ზემოქმედებით აბრეშუმთანობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებთან მიმართებაში.

დისერტაციის მასალების აპრობაცია. დისერტაციის ძირითადი მასალები წარმოდგენილი და განხილული იყო: რადიაციული გამოკვლევების V სხდომაზე, მოსკოვი 2006 წ.; აგრარული რადიოლოგიისა და ეკოლოგიის ინსტიტუტის გაფართოებულ სხდომაზე 2006 წლის 19 ივნისს.

დისერტაციის სტრუქტურა და მოცულობა. დისერტაცია შედგება შესავლის, ოთხი თავისა და დასკვნებისაგან. ნაშრომი წარმოდგენილია 106 ნაბეჭდ გვერდზე, ილუსტრირებულია 9 ნახაზით, შეიცავს 15 ცხრილს და 3 დანართს, ციტირებული ლიტერატურის სია შეადგენს 140 წყაროს.

## თავი 1 ლიტერატურული მიმოხილვა

### 1.1 მეაბრეშუმეობის მოკლე ისტორიული მიმოხილვა

ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ აბრეშუმის წარმოშობას დიდი ხნის ისტორია აქვს.

მეაბრეშუმეობის სამშობლოდ ითვლება სამი ქვეყანა: ჩინეთი, ინდოეთი და კოლხეთი ანუ, საქართველო.

აბრეშუმის მრეწველობას საფუძველი ჩაეყარა ჩინეთში დაახლოებით ჩვენს წ. აღ-მდე 5000 წლის წინ. მის გამოგონებას მიაწერენ ჩინეთის მაშინდელი იმპერატორის ხონგ-ტის პირველ მეუღლეს – სილნგ ჩის, რომელმაც ეს საქმე თავის ქვეშევრდომებს შეასწავლა. ჩინეთის იმპერატორ ფო-ში-ხონგის მემკვიდრის – ფუხისის მიერ შემუშავებული ტექნოლოგიით ისინი აბრეშუმის ჭიის აბრეშუმგამომყოფი ჯირკვლებიდან ამზადებდნენ სპეციალურ სიმებს, რომელსაც იყენებდნენ ნაციონალური მუსიკალური საკრავის სიმებად და თევზის საჭერი ანკესების ჩამოსაკიდად.

ჩინელები მეაბრეშუმეობასა და მისი წარმოების ტექნოლოგიას საუკუნეთა განმავლობაში საიდუმლოდ ინახავდნენ და სიკვდილით ემუქრებოდნენ მათ, ვინც მას საზღვარგარეთ გაიტანდა. მათ ეს საიდუმლო დაახლოებით ოცი საუკუნის განმავლობაში შეინახეს.

აბრეშუმის ძაფის წარმოების შესახებ მრავალი ჰიპოთეზა არსებობდა. მაგალითად, ცნობილი მეცნიერი და ისტორიკოსი ჰეროდოტე (ჩვ. წ. აღ. V საუკუნე) აზრს გამოთქვამდა, რომ აბრეშუმის ძაფი თითქოს მიიღება რაღაც ღინღლისგან, რომელიც იზრდება ხეზე. მეცნიერი ამიონი ალგვიწერს, რომ ჩინელები

ხეებიდან ბლუჯა-ბლუჯა აგროვებდნენ ნაზ მატყლს და ამ მატყლისაგან ქსოვდნენ იმ თხელ და ლამაზ ქსოვილებს, რომელთაც მნახველები განცვიფრებაში მოჰყავდა. მკვლევარი მუკეცის აზრით, აბრეშუმის სამშობლოა ინდოეთი და არა ჩინეთი, რასაც იმით ასაბუთებს, რომ ჩინეთზე ადრე ინდოეთში ყოფილა გავრცელებული ყვითელი რასის აბრეშუმმხვევია [19].

მეცნიერ ჰ. ზიბერმანის აზრით, ყვითელი პარკის მომცემ აბრეშუმმხვევიას სამშობლოდ ინდოეთი უნდა ჩაითვალოს, ხოლო თეთრის კი – ჩინეთი.

აბრეშუმის საიდუმლო პირველად კორეაში იქნა გატანილი ჩვ. წ. აღ. III საუკუნეში, აჯანყებული ხალხის მიერ, რომელიც ჩინურ დესპოტიზმს გაეცალა და საცხოვრებლად კორეაში გადავიდა. კორეის შემდეგ მეაბრეშუმეობა გავრცელდა იაპონიასა და იმავდროულად, ირანში, ხოლო შემდეგ თანდათანობით განვითარდა აზიის სხვა ქვეყნებში, ევროპაში, აფრიკასა და ამერიკაში. იაპონიის შემდეგ მეაბრეშუმეობა გავრცელდა შუა აზიაში ჩვ. წ. აღ. IV საუკუნეში ისტორიული ცნობებით, ჩინელი პრინცესა ცოლად გაჰყოლია ხოტანის პრინცს [20]. პრინცესას აბრეშუმის გრენა ფარულად თმებში დამალული ჩამოუტანია და ამგვარად გაუვრცელებია იგი. დაწყებული VI საუკუნიდან აბრეშუმის მრეწველობა თანდათანობით ვრცელდება ბიზანტიაში, ესპანეთში, იტალიაში, საფრანგეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში. ბიზანტიაში მეაბრეშუმეობამ ფართო გავრცელება დაიწყო VIII საუკუნიდან და უნდა ვიგულისხმოდ, რომ ეს მოხდა საქართველოდან, რადგან ამ დროს აქ მეაბრეშუმეობა უფრო განვითარებული იყო, ვიდრე მეზობელ სახელმწიფოებში. ევროპაში მეაბრეშუმეობა თავდაპირველად ძლიერ განვითარდა



საბერძნეთის ნახევარკუნძულ პელეპონესზე, რის გამოც მან მიიღო ახალი სახელი – მორეი, რაც თუთას ნიშნავს. შემდეგ იგი გავრცელდა კუნძულ კოსზე. XII საუკუნის დასაწყისში ბერძნებზე გამარჯვებულმა სიცილიელებმა, მორეის ნახევარკუნძულიდან მეაბრეშუმეობა გადაიტანეს სიცილიაში. აქედან კი იგი გავრცელდა აპენინის ნახევარკუნძულზე – ლომბარდიაში, ფლორენციასა და ვენეციაში [21].

საფრანგეთში მეაბრეშუმეობის გავრცელება იწყება XII საუკუნიდან და ინტენსიურად მას შემდეგ განვითარდა, რაც შავი თუთის ხე ნეაპოლიდან შემოტანილი თეთრი თუთის ხით შეცვალეს, დაახლოებით, XV საუკუნის ბოლოს [36].

ამერიკაში მეაბრეშუმეობის გავრცელება XVI საუკუნის მეორე ნახევარში იწყება, მაგრამ სხვადასხვა მიზეზებისა და, უმთავრესად, თუთის ხის უვარგისი ჯიშების გამო, ამ ქვეყანაში მეაბრეშუმეობა ვერ განვითარდა.

რუსეთში მეაბრეშუმეობის გავრცელება XVI საუკუნის ბოლოს, ბორის გოდუნოვის მეფობის დროს, დაიწყო. მაგრამ ამ საქმეს უფრო სერიოზულად მოეკიდნენ პეტრე I მეფობის ჟამს, რომელმაც სპეციალური ბრძანება გამოსცა მეაბრეშუმეობის განვითარების შესახებ. მისივე ბრძანებით, აგებულ იქნა აბრეშუმის ქვის გამოსაკვები დიდი შენობები, რომლებსაც «მეაბრეშუმეობის ქარხნებს» უწოდებდნენ [29]. ეკატერინე II-ს მეფობის დროს დიდი ფულადი დახმარება და სხვა წახალისება ეძლეოდათ იმ უცხოელებს, რომლებიც რუსეთში ჩამოვიდოდნენ და მეაბრეშუმეობის გავრცელებას შეუწყობდნენ ხელს. XIX საუკუნის დასაწყისში მეფე

პავლე I ასევე ატარებდა ღონისძიებებს რუსეთში მეაბრეშუმეობის გასავრცელებლად [23].

მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერიამ მიიერთა კავკასია და შუა აზიის ქვეყნები, იგი გახდა აბრეშუმის მწარმოებელი ქვეყანა. ყოფილი საბჭოთა კავშირი ითვლებოდა ნატურალური აბრეშუმის ერთ-ერთ მსხვილ მწარმოებლად და მსოფლიოში მესამე ადგილი ეკავა. კავკასიაში აბრეშუმსახვევი მრეწველობა იყო ნუხინსკის უეზდში, მთიან ყარაბახსა და საქართველოში (სამტრედია, თელავი და ხონი). იბადება კითხვა: დაახლოებით, რა დროიდან შეიძლება ვივარაუდოთ საქართველოში აბრეშუმის პარკის მოყვანა და მისი საფეიქრო საქმიანობაში გამოყენება? ცნობილი რუსი მკვლევარი ნ. შავროვი გულისხმობს რა არგონავტების შესახებ ლეგენდის მიხედვით ოქროს საწმისის ქვეშ ყვითელ პარკებსა და მის ძაფებს, გამოთქვამს აზრს, რომ ყვითელი პარკის მომცემი აბრეშუმის სამშობლო კოლხეთი უნდა იყოს [70]. რასაკვირველია, ამის დასამტკიცებლად არგონავტების ლეგენდა საბუთად არ შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ XIX საუკუნის ბოლო წლებში ა. ნატროშვილმა საქართველოს ტყეებში ნახა გარეული აბრეშუმის პარკი, რომლის ამხვევი ჭია მისი დასკვნით წარმოადგენს ისეთ ორიგინალურ სახეობას, რომლის მსგავსი ჯერ არსად უნახავთ და იმასაც, რომ ძველად ქართველები აბრეშუმს საკუთარ სახელს უწოდებდნენ. შეიძლება, აბრეშუმის ჭიის ერთ-ერთი სახეობის სამშობლოდ ჩავთვალოთ კოლხეთიც (ახლანდელი საქართველო).

აბრეშუმის წარმოებამ და დამუშავებამ ფართო განვითარება საქართველოში ჯერ კიდევ ადრეული ხანაში ჰპოვა. ეს დასტურდება V საუკუნეში არსებული წყაროებით, სადაც მოხსენებული «ჭიჭნაურ-

ჭიჭნაუხტი” ზოგადად აბრეშუმსაც აღნიშნავდა და აბრეშუმის ქსოვილსაც.

## 1.2 საქართველოს მეაბრეშუმეობის მოკლე

### ისტორიული მიმოხილვა

მეაბრეშუმეობის გავრცელება საქართველოში ზოგიერთი მკვლევარის აზრით V საუკუნის დამლევიდან იწყება. პროფესორი ვ.ა. ივანოვი აღნიშნავს, რომ მეფე ვახტანგ გორგასალს, რომელიც თავისი ჯარით ინდოეთიდან საქართველოში გამარჯვებული დაბრუნდა, ჩამოუტანია და გაუვრცელებია აბრეშუმის გრენა.

ვახტანგ გორგასლის მიერ გრენის ჩამოტანა და მისი გავრცელება საქართველოში მეაბრეშუმეობის საწყისად არ ითვლება.

რადგან ქართველებს არ ეცოდინებოდათ გრენის გაცოცხლება და მისი გამოკვების ტექნიკა, პარკის პირველი დამუშავება და ამოხვევა, მისი ფართოდ გავრცელება საქართველოში შეუძლებელი იქნებოდა. მაშასადამე, საქართველოში მეაბრეშუმეობა უეჭველად V საუკუნემდე უნდა ყოფილიყო გავრცელებული. ერთ-ერთი ვერსიით საქართველოში, მართალია, ინდოეთიდან გრენის ჩამოტანამდე გავრცელებული იყო აბრეშუმი, მაგრამ დაბალი ხარისხის. ჭიჭნაურიდან მიღებული ნართი და ქსოვილი იყო უფრო დაბალი ხარისხის, ვიდრე პარკიდან მისი დარღვევის შედეგად მიღებული ხამი ძაფი. ამიტომ ვახტანგ გორგასალი იძულებული იყო შემოეტანა აბრეშუმის ისეთი ჯიშის გრენა, რომელიც იძლეოდა შედარებით უკეთესი ფორმის პარკებს, რომლისგანაც ძაფის ამოხვევის ტექნოლოგიური პროცესით შესაძლებელი იყო ხამი ძაფის მიღება და მსუბუქი ლამაზი ქსოვილების დამზადება [126]. მაგრამ ისმის კითხვა

რატომ ინდოეთიდან და არა სპარსეთიდან? რომელთანაც საქართველოს უფრო მეტი ურთიერთობა ჰქონდა ვიდრე ინდოეთთან. ეს შეიძლება აიხსნას ორი მიზეზით: 1 – ინდოეთიდან მან გრენა წამოიღო როგორც ნადავლი ესე იგი უსასყიდლოდ, ხოლო სპარსეთიდან უნდა ეყიდა. მაშინ აბრეშუმის ძლიერ ძვირად ფასობდა: 2 – ინდოეთში გავრცელებული იყო ყვითელი ფერის პარკის მომცემი ჯიშები, სპარსეთში კი – თეთრი. ყვითელი ფერის პარკი უფრო მიმზიდველია, იმ პერიოდისათვის ის იშვიათი იყო და ამიტომ მას მეტი მოწონება ჰქონდა. საქართველოს აბრეშუმის პარკი და მისი ნაწარმი სპარსეთის ბაზარზე გასაყიდად გაჰქონდა და, ბუნებრივია, უფრო ძვირად და ადვილად გაიყიდებოდა ის ნაწარმი, რომლის ფერი და ხარისხი უკეთესი აღმოჩნდებოდა. ამიტომ სავსებით გასაგებია გორგასლის მიერ საქართველოში ახალი ჯიშის გრენის გავრცელება [119].

უნდა ვიგულისხმოთ, რომ უცხოეთისა და შინაურ ბაზრებზე ახალი ჯიშის პარკმა და მისმა ნაწარმა მოწონება დაიმსახურა და ძველ ქართულ ჭიჭნაურებზე მოთხოვნილება შემცირდა და ბაზრიდან თანდათანობით გაიღვენა. ამიტომ ძველი ტერმინი «ჭიჭნაური» თანდათან ხმარებიდან ამოვარდა და მისი ადგილი ახალმა ტერმინმა – დასავლეთ საქართველოში «აბრეშუმი»-ს, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში «აბრამუმი»-ს სახელწოდებით დაიკავა. საქართველოს მეაბრეშუმეობისა და მისი წარმოების შესახებ ჩვენამდე მოღწეულია უცხოელი მოგზაურების ცნობები, რომლებიც გავლით ან სპეციალურად ყოფილან ჩამოსული [73]. იტალიელი მოგზაური მარკო პოლო, რომელმაც საქართველოს მრავალი კუთხე XII საუკუნეში შემოიარა, აღნიშნავდა, რომ საქართველოში მეაბრეშუმეობა

და აბრეშუმის ქსოვა ძლიერ იყო განვითარებული; რომ ქართველები აბრეშუმის ქსოვილის დასამზადებლად აბრეშუმის ძაფში ხმარობენ ოქროს ძაფებს და ღებულობენ აბრეშუმის ისეთ ლამაზ ქსოვილებს, რომლის მსგავსი არსად უნახავს. მეაბრეშუმეობა საქართველოში XVI საუკუნეში ძლიერ რომ ყოფილა განვითარებული, ამაზე მიგვითითებს «არჩილიანიც».

XVIII საუკუნეში პარკის მოსავალი საქართველოში ძლიერ დიდი რომ ყოფილა, ამას ადასტურებს პროფესორ ნ. იაშვილისა და გ. ბახტაძის მონაცემებიც, რომელთა მიხედვით 1860 წელს პარკის მოსავალი საქართველოში უდრიდა 400 000 ფუტს, ანუ 6400 ტონას (ნედლი წონა).

საქართველოში 1848 წელს ჩატარებული აღწერის მიხედვით გამოირკვა, რომ ჩვენში აბრეშუმის გადამუშავებას აწარმოებდა 210 000 ოჯახი. მაშასადამე, მეაბრეშუმეობა საქართველოში XIX საუკუნის 60-იან წლებში ძლიერ ყოფილა განვითარებული და მევენახეობასთან ერთად, იმ პერიოდში წარმოადგენდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მძლავრ ეკონომიკურ ბერკეტს [81].

საქართველოში 1864 წელს აბრეშუმის ჭიის «პებრინით» დაავადებამ იჩინა თავი და მეაბრეშუმეობას დიდი ზიანი მიაყენა. იგი საფრანგეთიდან ჩამოტანილი აბრეშუმის ჯიშების საქართველოში გავრცელების შედეგი იყო. პირველად ეს დაავადება ქუთაისის გუბერნიაში 1862 წელს გაჩნდა. ორი წლის შემდეგ ეს დაავადება იმერეთის სხვა რაიონებშიც გავრცელდა, ხოლო შემდგომ აღმოსავლეთ საქართველოშიც. პებრინამ გაანადგურა მეაბრეშუმეობა. ეს დრო მეაბრეშუმეობის დაცემის პერიოდია, რომელიც შეცვალა აღდგენითმა პერიოდმა. დასუსტებული მეაბრეშუმეობა მთლიანად

რომ არ განადგურებულიყო, საჭირო იყო რადიკალური ღონისძიებების მიღება [120, 121, 122].

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სახელმწიფო მონოპოლია პარკზე დარჩა და მებარემუმეობის პარკის მოსავლის გადიდების საქმეში ხელი შეუწყო. მებარემუმეობაში ჩატარებული იქნა დიდი სამუშაოები, როგორც წარმოების, ისე სამეცნიერო კვლევითი ხაზით, რამაც განაპირობა მებარემუმეობის აღმავლობა.

საქართველოში დაწყებულმა რეფორმამ, რომელიც, სამწუხაროდ, ისტორიული გამოცდილებისა და ტრადიციების გაუთვალისწინებლად მიმდინარეობს, ძირითადად განაპირობა უკანასკნელ წლებში ქვეყანაში საერთო წარმოებისა და, მათ შორის, აბრემუმის პარკის დამზადების კატასტროფული დაცემა. 1998 წელს აბრემუმის პარკის დამზადების მოცულობა 1990 წელთან შედარებით 1 500 ტონიდან 3,5 ტონამდე შემცირდა. შესაბამისად შემცირდა ხამი აბრემუმის ძაფისა და ქსოვილის წარმოებაც.

ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების პერიოდში მებარემუმეობის დინამიური განვითარებისათვის ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება პრაქტიკასთან შეთანწყობილი, მეცნიერულად დასაბუთებული მიმართულების შემუშავებას, ნატურალურ აბრემუმზე მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებასა და ექსპორტზე ორიენტირებული პროდუქციის წარმოებას.

თუთის აბრემუმხვევია ( ომბყხ მორი ) მონოფაგი მწერია, იკვებება თუთის ფოთლით და მის კვებით ღირებულებაზე დიდადაა დამოკიდებული მწერის ნაყოფიერება. მეცხოველეობაში, მათ შორის მებარემუმეობაში, დიდი ხანია, რაც ძირითად საკვებზე უმატებენ

ორგანიზმისთვის საჭირო კომპონენტებს ან ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს [31].

თუთის აბრეშუმხვევიას მაღალი ცხოველმყოფელობა და პროდუქტიულობა, სხვა ფაქტორებთან ერთად, დიდად არის დამოკიდებული დიაპაუზისა და ემბრიოგენეზის ნორმალურ მიმდინარეობაზე და მისი ანომალიის დროულ პროგნოზირებაზე [49].

თუთის აბრეშუმხვევია ( ომბუხ მორი ) მიეკუთვნება ფეხსახსრიანთა ტიპს ( რტპროპოდა), ტრაქეანების ქვეტიპს (თრაცპეატა), მწერთა კლასს (Insecta), სრული გარდაქცევის მონოფაგ მწერს. მას ისევე, როგორც სხვა ფეხსახსრიანებს არ გააჩნია სხეულის მუდმივი ტემპერატურა, ამიტომ თუთის აბრეშუმხვევიას ზრდა – განვითარება, ცხოველმყოფელობა, მეტაბოლური პროცესების მიმდინარეობა, გენერაციის ხანგრძლივობა, კვების ინტენსივობა, პროდუქტიულობა და სხვა, დიდად არის დამოკიდებული გარემო ფაქტორებზე [3].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თუთის აბრეშუმხვევია არის ფიტომონოფაგი მწერი. იგი იკვებება მხოლოდ თუთის ფოთლით, რომელიც შედგება ორგანული და არაორგანული ნივთიერებებისაგან. მათგან ორგანულია: აზოტოვანი და უაზოტო ნივთიერებები. პირველს ეკუთვნის 20-30% ცილა, მეორეს 19-33% ნახშირწყლები და 2-9% ცხიმები. გარდა ამ ნივთიერებებისა, იაპონელი და ჩვენი თანამემამულე მკვლევარების მონაცემებით, თუთის ფოთოლი შეიცავს ჰექსანალს, ჰექსანალს, ტერპენებს, სტერინის მსგავს ნივთიერებებს – ციტოსტერინს, ქოლესტერინს, ერგოსტერინს და

სხვა [71]. ეს ნივთიერებები ხელს უწყობენ მწერს ფოთლის ღრღნასა და გადაყლაპვაში [88].

### 1.3 თუთის აბრეშუმხვევიას გრენაში დიაპაუზისა და ემბრიოგენეზის საკითხისათვის

თუთის აბრეშუმხვევიას კვერცხი ანუ გრენა ოვალური ფორმისაა, მისი ერთი პოლუსი წამახვილებულია, მეორე კი – ბლაგვი. გრენის სიდიდე როგორც ზომით, ისე წონითაც დამოკიდებულია ჯიშსა და კვერცხის დების ვადაზე. პეპელა პირველ დღეს უფრო დიდ გრენას დებს, ვიდრე მეორე და მესამე დღეს. გრენის სიდიდე დამოკიდებულია იმაზეც, თუ როგორი კვება ჰქონდა მის მშობლებს (თუთის აბრეშუმხვევია). საშუალოდ, გრენის გასწვრივი დიამეტრი უდრის 1.5 მმ, განივი კი – 1.2 მმ [52, 53].

გრენის წონა ჯიშების მიხედვით განსხვავებულია. საშუალოდ მისი წონა უდრის 1.08 მგ. ერთმოსავლიანი ჯიშის განაყოფიერებული პეპლის მიერ ახლად დადებული გრენა მოყვითალოა, შემდეგ კი ნარინჯისფერს ლებულობს, მაგრამ მესამე დღეს მუქი ნაცრისფერი ხდება [45, 72].

გრენა დაფარულია მაგარი ნაჭუჭით, რომელიც იცავს მას მექანიკური დაზიანებისგან. ნაჭუჭის სისქე ჯიშის მიხედვით სხვადასხვაა. ევროპული ჯიშების გრენის ნაჭუჭი უფრო სქელია (6.2 – 6.5 მიკრონი), ვიდრე ჩინური და იაპონური ჯიშებისა (4.9 მიკრონი). ყველაზე მცირე სისქის ნაჭუჭი ორმოსავლიანი ჯიშების კვერცხებს აქვს (3.6 – 3.9 მიკრონი).



გრენის წამახვილებულ მხარეზე მოთავსებულია მიკროპილე, ანუ ხვრელი, რომლითაც მასში შედიან სპერმატოზოიდები, ხოლო ბაქტერიები და მტვერი ვერ აღწევს [46, 47, 48].

ნაჭუჭის მთელი ზედაპირი დასერილია საჰაერო ფორებით, რომლის საშუალებითაც გრენა სუნთქავს.

უშუალოდ ნაჭუჭის ქვეშ მოთავსებულია უსტრუქტურო გარსი, რომელსაც ცილის გარსი ეწოდება. ცილის გარსის ქვეშ კი მოთავსებულია ციტოპლაზმა საკვები მარცვლებით. მიკროპილესთან ახლოს მდებარეობს მრგვალი ფორმის ბირთვი [106].

განაყოფიერების შემდეგ კვერცხში იწყება ჩანასახის განვითარების პროცესი (ემბრიოგენეზი) [109]. ეს პროცესი იყოფა სამ პერიოდად: ზაფხულ – შემოდგომის, ზამთრისა და გაზაფხულის [35].

ყოველ ცოცხალ ორგანიზმში მოცემულია გარემო-პირობების ის მოქმედება, რომელშიც იგი იცვლებოდა და ყალიბდაბოდა ბუნების ისტორიული განვითარების პროცესში [128]. სწორედ ამ პროცესის დროს მწერებს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გარემო-ფაქტორების უარყოფითი გავლენისაგან თავდაცვის ერთ-ერთ საშუალებად დიაპაუზა გამოუმუშავდათ, რომლის დროსაც მწერი შედარებით იოლად იტანს ეკოლოგიური ფაქტორების მკვეთრ ცვალებადობას [115].

ზოგიერთ მკვლევარს დიაპაუზა მიაჩნდა განვითარების შეჩერებად. ამ მოსაზრებას არ ეთანხმებიან სხვა მეცნიერები.

დიაპაუზის მოვლენა პირველად დიუკლომ (1869) აღწერა თუთის აბრეშუმხვევიას გრენაში, ხოლო მოვლენის არსი უილერმა განსაზღვრა 1893 წელს [65]. ენეგიმ (1904) მწერის ყველა სტადიაში განვითარების შეჩერებას “დიაპაუზა” უწოდა, ხოლო შელფორდმა

(1929) ერთმანეთისაგან განასხვავა “მილი” და “მოსვენების მდგომარეობა” [113]. პირველს იწვევს გარემოს ხელსაყრელი პირობები, ხოლო მეორეს მხოლოდ ორგანიზმში ზოგიერთი ფიზიკურ – ქიმიური ხასიათის ცვლილება (წყლის ადსორბცია, შარდმჟავა მარილების გამოყოფა და სხვა.) [114].

დიაპაუზა განსაკუთრებულ ბიოლოგიურ პროცესს წარმოადგენს და შესაძლებელია მიმდინარეობდეს მწერის განვითარების სხვადასხვა - ჩანასახის, მატლის, ჭუპრის და იმაგოს ფაზაში [42]. ყველა ფაზის დიაპაუზისათვის საერთოა ის, რომ მის გარეშე ოპტიმალურ პირობებში მომდევნო ფაზის განვითარება ვერ ხორციელდება [54]. ამიტომ დიაპაუზა განსაკუთრებულ ბიოლოგიურ პროცესს წარმოადგენს მწერის განვითარებაში, რომელ ფაზაშიც არ უნდა იყოს იგი [55]. დიაპაუზის ნორმალური მიმდინარეობა განაპირობებს ნორმალურ ემბრიოგენეზს [56].

მეაბრეშუმეობის კლასიკურ ლიტერატურაში ცნობილია, რომ თუთის აბრეშუმხვევიას ევროპულ ჯიშებში ჩანასახი გადიოდა განვითარების თოთხმეტ სტადიას, თუმცა იტალიელი მეცნიერის ზ. ბარტალონეს მიერ თვრამეტი სტადია იქნა აღწერილი [7]. ამასთან, დიაპაუზაში იმყოფებოდა მხოლოდ პირველი სტადია. ქართველი მეცნიერების მიერ მაღალპროდუქტიულ, თეთრპარკიან ჯიშებში დადგენილ იქნა ჩანასახის განვითარების 18 სტადია, რომელთაგან, განსხვავებით ძველი ევროპული ჯიშებისაგან, დიაპაუზირებადია არა მარტო პირველი, არამედ პირველი ოთხი სტადია – ა, ბ1, ბ2 და ვ1 [14, 16].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გრენის შენახვის პერიოდში ექსტრემალური პირობების შემთხვევაში ირღვევა დიაპაუზისა და

ემბრიოგენეზის ნორმალური მიმდინარეობის პროცესი, რომელიც დღეისთვის მეაბრეშუმეობის ერთ-ერთ მტკივნეულ საკითხს წარმოადგენს. ყოველივე ეს გამოიწვია იმან, რომ 30 წლის წინათ ყოფილი საბჭოთა კავშირის იმ რესპუბლიკებში, სადაც მისდევდნენ მეაბრეშუმეობას, შემოტანილ იქნა ჩინური და იაპონური წარმოშობის თუთის აბრეშუმხვევიას მაღალპროდუქტიული თეთრპარკიანი ჯიშები, რომელთა ჩამოყალიბებაში ერთ-ერთი მონაწილე ბივოლტინური და პოლივოლტინური ჯიშებია [123, 124, 125].

ეს მასალა გამოყენებულ იქნა ადგილობრივი სელექციონერების მიერ მონოვოლტინური ერთმოსავლიანი ჯიშების გამოყვანის სელექციურ მასალად (შ. ღვინეფაძე). მათი მონაწილეობით მიღებული ახალი თეთრპარკიანი ჯიშებისათვის გრენის ინკუბაციის, ჭიის კვებისა და პარკის ახვევის რეჟიმი იგივე დარჩა, რაც მიღებული იყო ყვითელპარკიანი ჯიშებისათვის. წლების განმავლო-ბაში ახალი თეთრპარკიანი ჯიშების გრენიდან ესტივაციის პერი-ოდში ჭია გამოდიოდა რამდენჯერმე, რაც მნიშვნელოვნად ამცი-რებდა გაზაფხულისთვის სარეალიზაციო გრენის რაოდენობას [37].

აღნიშნული ფაქტი გამოწვეული იყო იმით, რომ ჩინური და იაპონური წარმოშობის თუთის აბრეშუმხვევიას ჯიშები სამშობლოში შეგუებული იყვნენ მაღალი ტემპერატურისა და ტენიანობის პირობებს. ამავე დროს სელექციური მასალის საწყისი კომპონენტები ბივოლტინურნი იყვნენ და, მონოვოლტინურ ჯიშებთან შედარებით, უფრო ხანმოკლე დიაპაუზით ხასიათდებიან [27]. საერთოდ, ცნობილია რომ ბივოლტინური ჯიშები უფრო პლასტიურნი არიან მონოვოლტირულთან შედარებით. მათთვის დადგენილი რეჟიმის დარღვევის შემთხვევაში (პროვოკაციული პირობები) ადვილად

ავლენენ ბიოლოტინურ ნიშან-თვისებებს. ამ შემთხვევაში გამოამ-  
ჟღავნეს ხანმოკლე დიაპაუზა. გრენის ასეთ ნაადრევ გამოსვლას  
უწოდეს თვითგამომცოცხლე ან თვითგამომღვიძე გრენა [59].

მრავალი ცდის შემდეგ მეცნიერების მიერ მიკვლევულ იქნა  
თეთრპარკიანი ჯიშების გრენის, ჭიის კვების, პარკის ახვევის და  
დიაპაუზის ჰორმონის აქტიური გამოყოფის ოპტიმალური რეჟიმი:  
გრენის ინკუბაცია – 26-27<sup>0</sup> ტემპერატურაზე, 75 –80% ჰაერის  
შეფარდებითი ტენიანობა და ყოველდღიური 16-18 საათიანი  
ფოტოპერიოდი ინკუბაციის დროს [60]. ჭიის კვება უმცროს ასაკებში  
25-26<sup>0</sup> ტემპერატურაზე და უფროს ასაკში კი 24-25<sup>0</sup> ტემპერატურაზე  
ხდება, პარკის ახვევა 23-24<sup>0</sup> ტემპერატურის პირობებში [61].

თუთის აბრეშუმხვევას ახალი თეთრპარკიანი ჯიშებისათვის  
დადგენილმა ახალმა რეჟიმმა მინიმუმამდე დაიყვანა გრენის  
თვითგაცოცხლების შემთხვევები, თუმცა რეციდივები ზოგჯერ მაინც  
იჩენს ხოლმე თავს უმნიშვნელო რაოდენობით [62].

გაზაფხულისათვის მაღალცხოველმყოფელური ნორმალური  
გრენის მიღების უზრუნველსაყოფად დღეისთვის დიდი მნიშვნელობა  
აქვს ა. ხახანოვის მიერ შემუშავებულ გრენის ორჯერადი  
დახარისხების მეთოდს. ამ მეთოდის დანერგვამ შუა აზიის  
რესპუბლიკების მეაბრეშუმეობას რამოდენიმე მილიონი მანეთის  
მოგება მისცა [63].

აღნიშნული მეთოდის არსი მდგომარეობს იმაში, რომ  
ესტიცაციის პერიოდის ბოლოს, მაცივარში შეტანამდე, გრენის  
დახარისხება ხვედრითი წონის პრინციპით ხდება. გრენა ან ნიავედება  
ან ირეცხება, წუნში გადადის დიაპაუზიდან ნაადრევად გამოსული  
საშუალო ან უფროს სტადიებში გადასული ჩანასახიანი გრენა,

რომელშიც დაიხარჯა საკვები მარაგი და შემცირდა გრენის ხვედრითი წონა [117]. გრენის დახარისხება მეორედ ხდება მისი რეალიზაციის წინ რამდენიმე ხნით ადრე (დაზამთრების დროსაც ნელა, მაგრამ მაინც მიმდინარეობს ჩანასახის განვითარება) – მარტში. გაზაფხულისათვის რჩება ნორმალურ დიაპაუზაში მყოფი გრენა [118].

ახალი თეთრპარკიანი ჯიშების მონაწილეობამ სასელექციო მუშაობაში თავისი უარყოფითი როლი შეასრულა, რადგან ირღვეოდა დიაპაუზისა და ემბრიოგენეზის ნორმალური მიმდინარეობა. საჭირო გახდა ესტივაციისა და ზამთრობის პერიოდში ამ ორი პროცესის მიმდინარეობის პროგნოზირება, კერძოდ კი კვერცხიდან (გრენიდან) ჩანასახის განთავისუფლება და მისი სტადიების მიკროსკოპში დადგენა [44]. 60-იან წლებამდე ეს ხდებოდა სკალპირების მეთოდით, შემდეგ კი იაპონური მეთოდით – გრენის ნატრიუმის ტუტის 15% ხსნარში დამუშავებით. ორივე მეთოდი მეტად შრომატევადი და სუბიექტური იყო. წარმოებაში ანალიზს აკეთებდნენ აგრომიკროსკოპისტები დადგენილი ინსტრუქციის მიხედვით. საქართველოში სახელმძღვანელოდ გამოყენებული იქნა ლ. გიგოლაშვილის მიერ შედგენილი ჩანასახის განვითარების სტადიების ალბომი [129, 130, 131].

ემბრიოგენეზის ნორმალური მიმდინარეობის პროგნოზირების შედარებით გაუმჯობესებული მეთოდი 1986 წელს ტაშკენტში ო. ნ. ზელენინას მიერ იქნა შესწავლილი [116]. ამ მეთოდის არსი მდგომარეობს ბიოქიმიური მეთოდით ემბრიოგენეზის მიმდინარეობის დადგენაში, გრენაში ატფ-ზური აქტივობით [134]. ეს მეთოდი ეყრდნობა იმ პრინციპს, რომ ემბრიოგენეზის პროცესში, როცა უფროსი სტადიები ვითარდება, განსაკუთრებით კი –

ორგანოგენეზის დროს, აქტიურდება ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური პროცესები, რომელსაც განაპირობებს ატფ-ზური აქტივობის ზრდა [135]. ორგანოგენეზის დროს ორგანიზმს მეტი ენერგია ჭირდება, ხოლო ატფ კი ენერგიის წყაროა [132].

მეცნიერების უახლესი მონაცემებით, აბრეშუმის ჭიის ორგანიზმში აბრეშუმის ცილა ორი გზით წარმოიქმნება: აბრეშუმის უდიდესი ნაწილი დაახლოებით 70%-მდე წარმოიქმნება პირველადი გზით, ე.ი. ჭიის მიერ თუთის ფოთლიდან მიღებული ცილების გადამუშავებით, ხოლო დანარჩენი 30% კი მეორადი გზით – აბრეშუმის ჭიის ჰემოლემფისა და თუთის მცენარის ცილების სინთეზით. აქ საყურადღებოა ის გარემოება, რომ მეორადი გზით ნახევარზე მეტი ცილა წარმოიქმნება ჭიის ორგანიზმში პარკის ახვევის პროცესში ე.ი. მაშინ, როდესაც აბრეშუმის ჭია გარემოდან საკვებს არ ღებულობს [74, 76, 78].

აღსანიშნავია ისიც, რომ აბრეშუმის მასის თვისობრივი და რაოდენობრივი ფორმირების საქმეში დანარჩენ პირობებთან ერთად (ჯიში, ჭიის მოვლა და გამოკვების აგროზოოტექნიკა) დადი მნიშვნელობა აქვს თუთის ფოთოლში აზოტის რაოდენობას [89, 93].

იაპონელმა მკვლევარმა ეიკუმინ ხირატზუკამ და სხვებმა ცდებით დაამტკიცეს, რომ აბრეშუმის მასის ფორმირებისათვის საჭირო აზოტს ჭია ღებულობს მხოლოდ და მხოლოდ თუთის ფოთლიდან, რადგან ჭია, რომელიც გამოკვებილია აზოტით მდიდარი თუთის ფოთლით, იძლევა მეტ აბრეშუმთან პარკს. ამიტომ საჭიროა სათანადო ყურადღება მიექცეს თუთის ფოთოლში აზოტის შემცველობის საკითხს [95, 96, 101].

## 1.4 ჭიის ასაკთან დაკავშირებით აბრეშუმის

### ძაფის სიმსხოს დინამიკა

იტალიელი მეცნიერის ა. ბროკადელოს გამოკვლევით ჯირკვლებში აბრეშუმის მასა მოცემულია გრენიდან მურის გამოჩეკისთანავე. თავდაპირველად ეს ძაფი ძლიერ წვრილია და მსხვილდება აბრეშუმის ჭიის ზრდასთან ერთად [127, 133].

აბრეშუმის ძაფის სიმსხოს დინამიკა ა. ბროკადელის ცდების მიხედვით მოცემულია ცხრილ 1.1-ში (გვ. 22).

როგორც ცხრილიდან ჩანს, აბრეშუმის მასა ჯირკვლებიდან თავდაპირველად მოცემულია ძალზე მცირე რაოდენობით და, ამავე დროს, ძაფი წვრილია (მისი სიმსხო აღწევს ერთ მიკრონს). ასეთი ძაფის გამოყენება ყოვლად შეუძლებელია ხამი ძაფის მისაღებად. აბრეშუმის ჭიის ზრდასა და განვითარებასთან ერთად მატულობს ჯირკვალში აბრეშუმის მასის აბსოლუტური ოდენობა და ამავე დროს მსხვილდება ძაფიც. მისი დიამეტრი პარკის ახვევის მომენტისათვის 25-30 ჯერ დიდდება. როგორც ჩანს, სხვა მეცნიერებიც იზიარებენ, რადგან სხვა ვერსია ჩვენს მოძიებულ მასალებში არ შეგვხვებდრია [136].

თუთის აბრეშუმხვევიას ყველა ჯიში ახვევს დახურული ფორმის პარკებს. ეს პარკები შეიძლება იყოს სხვადასხვა ფერის, სიდი-დისა და ფორმის, მაგრამ როგორც წესი ყველა დახურულია [24].

## აბრეშუმის ძაფის სიმსხოს დინამიკა

ცხრ. 1.1

1	ძაფის სიმსხოს გაზომვის დრო	ძაფის სიმსხო		კოეფიციენტი
		მმ-ში	მკრ-ში	
1.	მურის გამოჩევიდან 2 სთ-ის შემდეგ	0.00106	1.06	1
2.	I კანის ცვლის შემდეგ	0.00159	1.59	1.5
3.	II კანის ცვლის შემდეგ	0.00201	2.01	1.9
4.	III კანის ცვლის შემდეგ	0.00392	3.92	3.8
5.	IV კანის ცვლის შემდეგ	0.01272	12.72	12.0
6.	პარკის ძაფში	0.02777	27.77	25.9

ჩვეულებრივ პირობებში აბრეშუმის ჭია მეხუთე ასაკის მეცხრე-მეათე დღეს იწყებს პარკის ახვევას. პარკის ახვევის წინ ის თავს ანებებს ჭამას და მკერდაღერებული ლასტზე მოუსვენრად დახეტია-ლობს. პარკის ასახვევად მომწიფებული ჭიის კანი გამჭვირვალე ხდება. აბრეშუმის ჭია თუ ყვითელი ფერის რასას ეკუთვნის, მის ვენტრალურ მხარეს შეიმჩნევა მასში არსებული აბრეშუმის ყვითელი ფერის მასა, ხოლო თუ თეთრი, მწვანე ან ვარდისფერი რასაა, შესამჩნევია შესაბამისი ფერის აბრეშუმის მასა [25, 34, 43].

პარკის ახვევისათვის მომწიფებული ჭია ათი სახის სამუშაოს ატარებს:



1. პარკის ასახვევი ადგილის ანუ ცახის მოძებნა;
2. ცახზე ასვლა;
3. ცახზე პარკის ასახვევი ადგილის შერჩევა;
4. ცახის შერჩეულ ადგილზე აბრეშუმის ძაფისაგან აბლაბუდის გაბმა ანუ “ტყის” გაკეთება;
5. ცახის ტოტიდან აბრეშუმის “ტყეში” გადასვლა;
6. ორგანიზმის განთავისუფლება ზედმეტი სითხისგან და პარკის გარსის ასახვევად მომზადება;
7. პარკის გარსის ზედა ფენის (ნაპერტყულისა და ნათაურის) ახვევა;
8. პარკის სასარგებლო ფენების ახვევა;
9. პარკის ქვედა ფენის (პერანგის) ახვევა;
10. უკანასკნელი V კანის ცვლა და ჭუპრად გადაქცევასთან დაკავშირებული მეტამორფოზის პროცესი.

### 1.5 მწერების რადიომგრძნობიარობა ონტოგენეზში

ყველაზე უფრო გავრცელებული რადიომგრძნობიარობის ინტეგრალური მაჩვენებელი მისაგები სხვადასხვა სირთულის ორგანიზმებისათვის ცხოველთა გადარჩენაა [11, 17, 50].

ამ მიზნით ყველაზე ხშირად იყენებენ ლეტალურ დოზას, რომელიც იწვევს დასხივებულ პოპულაციაში 50 ან 100% ცხოველების სიკვდილს,  $50/30$ ,  $100/30$ . დასხივებული მწერებისათვის დროის ინტერვალს შეარჩევენ შესაბამისად სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობასთან. ასე, მაგალითად, ჭიანჭველას საცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 80 დღეა, დასხივების დოზა, რომელიც 40 დღის განმავლობაში ცხოველების 50 %-ში სიკვდილს იწვევს ასე აღინიშნება  $50/40$ .

რადიომგრძობიარობის ნაცვლად ზოგჯერ იხმარება ტერმინი რადიომდგრადობა (რადიორეზისტენტობა). მაღალი რადიორეზისტენტობა ნიშნავს ორგანიზმის დაბალ რადიომგრძობიარობას.

როგორც ცხრილი 1.2-დან (გვ. 25) ჩანს, ბაქტერიების, უმარტივესთა და ვირუსების შემდეგ მწერების რადიომდგრადობა განვითარების ბოლო ეტაპზე (იმაგო) მაღალია.

მწერების რადიომგრძობიარობა ონტოგენეზში, როგორც ეს წარმოდგენილი ცხრილი-1.3-დან (გვ. 26) ჩანს, დიდად განსხვავდება. მწერის 1-4 სთ ასაკის ემბრიონები, რომლის დროსაც მათში ადგილი აქვს ბირთვების ინტენსიურ დაყოფას ავლენენ მაღალ რადიომგრძობიარობას. მათთვის 50 1-2 გრეია. განვითარების შემდეგ ეტაპზე რადიომგრძობიარობა ქვეითდება. 7-12 სთ ჩანასახებისთვის, რომლის უჯრედები დიფერენციაციის გზაზეა, 50 5 გრეია, და, ბოლოს მოუმწიფებელი და მიტოზური უჯრედების არარსებობით, გერმინატულის გამონაკლისით, განვითარების ბოლო ეტაპზე რადიომდგრადობა ასჯერ მაღალია, იმავე სახის ჩანასახებზე და მოზრდილ თბილსისხლიან ცხოველებზე. ინდივიდუალური განვითარების პროცესში განსხვავებული რადიომგრძობიარობის მიზეზს კარგად ხსნის ბერგონიოს და ტრიბონდოს [80] წესი, რომლის თანახმად, ქსოვილის რადიომგრძობიარობა პირდაპირ-პროპორციულია უჯრედების მიტოზურ აქტივობასთან და უკუპროპორციულია მათი დიფერენციაციის ხარისხზე.

განსხვავებულ ტაქსონომიური ჯგუფებში მაიონიზებული რადიაციის  
 ბიოლოგიური ეფექტი LD<sub>50</sub>. [51]

ცხრილი 1.2

1	ჯგუფი	დოზა, გრი	ავტორები
1.	ბაქტერიები, უმარტივესნი, ვირუსები	100 – 10000	Harrison and Anderson, 1996 [110]
2.	მწერები	30 – 1500	Whicker and Schultz 1982 [95]
3.	მოლუსკები	50 – 500	Ravera 1967 [108]
4.	უმაღლესი მცენარეები	1.5 ->130	Harrison and Anderson 1996 [110]
5.	თევზები	4 – 100	Harrison and Anderson 1996 [110]
6.	ამფიბიები	7 – 22	Harrison and Anderson 1996 [110]
7.	რეპტილიები	3 – 44	Harrison and Anderson 1996 [110]
8.	ფრინველები	5 – 20	Harrison and Anderson 1996 [110]
9.	ადამიანები	3	Rice and Baptist 1974 [81]

მწერების რადიომგრძობიარობა განვითარების  
სხვადასხვა ეტაპზე

ცხრილი 1.3

მწერების დასახელება	განვითარების სტადია დასხივების მომენტში	დოზა გრეი	ეფექტი	ავტორი
1	2	3	4	5
დროზოფილა	ბირთვების დაყოფა, სინციტიის წარმოქმნის დასაწყისი, ემბრიონის V ასაკი 1,75 სთ  ორგანოების დიფერენციაცია.  ემბრიონის ასაკი 7 – 8 სთ  მოზრდილი ორგანიზმი (იმაგო)	1,63  2  5  80	LD <sub>50</sub> .  LD <sub>70</sub> .  LD <sub>50</sub> .  LD <sub>70</sub> .	Фриц– Ниггли [64]
Habrobracon	ბირთვების დაყოფა იმაგო ჩანასახის ასაკი 1-3 სთ ჩანასახის ასაკი 1-3 სთ	1 1000 1,25 3,50	LD <sub>50</sub> . LD <sub>50</sub> . LD <sub>30</sub> . LD <sub>100</sub> .	Clark [82]  Amu [77]
გაზაფხულის ლემის ბუზი Protophormia Terraе – novae	ჩანასახის ასაკი 1-4 სთ  ლარვა განვითარების სხვადასხვა სტადიაზე  ჭუპრები სხვადასხვა ასაკის	1  20  20-250	LD <sub>100</sub> .  LD <sub>100</sub> .  LD <sub>100</sub> .	Калмыков [15]
ოთახის ბუზი Muska domestica	კვერცხების დადებიდან 12-სთ შემდეგ	6	LD <sub>100</sub>	Coleetal [83]
ამბარის ხოჭო Ephestia Ruchestia L.	კვერცხების დადებიდან 24 სთ. შემდეგ  კვერცხების დადებიდან 96 სთ. შემდეგ  ჭუპრის I დღეს ჭუპრის II დღეს ჭუპრის IV დღეს	25  480  40 150 600 1200	LD <sub>50</sub>  LD <sub>50</sub>  LD <sub>50</sub> LD <sub>50</sub> LD <sub>50</sub> LD <sub>50</sub>	Кузин, Юсифов [26]

	ჭუპრის IX დღეს			
--	----------------	--	--	--

ჩანასახის მაღალი რადიომგრძნობიარობის გამო ს. პეკარდმა 1927 წელს მკვლევარებს შესთავაზა დროზოფილის კვერცხები გამოყენებულიყო როგორც ბიოდოზიმეტრი [102].

მწერების რადიომგრძნობიარობაზე გავლენას ახდენს დღელამური ცვლილებები, გარემოს ტემპერატურა, დოზის დანაწევრება [97], გამოსხივების ენერგია, გენოტიპი და სქესი [87], სახეობა [91], განვითარების სხვადასხვა სტადია [86].

რადიაციის მაღალი დოზა, რომელიც არ არის სასიკვდილო მწერებისათვის იწვევს მათ სტერილიზაციას. მაიონიზებული გამოსხივების ასეთი ეფექტის გამოწვევის ოპტიმალური დოზა მწერთა უმრავლესი სახეობისათვის 60-100 გრეის ფარგლებშია [23].

მდედრის გონადა უფრო რადიომგრძნობიარეა, ვიდრე მამრის [110]. უნაყოფო მამრებს იყენებენ სოფლის მეურნეობაში მწერების მოსასპობად. მავნე მწერებთან ბრძოლის მეთოდი – დასხივებით სტერილიზაცია და მისი დანერგვის შედეგები აღწერილია სპეციალურ ლიტერატურაში [68].

მხოლოდ პირველი თაობის სტერილური მამრი ინდივიდები მდედრებთან შეჯვარებისას ამჟღავნებენ მაღალ ლეტალურ ეფექტს [58]. ამ მოვლენის ახსნას ვნახულობთ თანაავტორის სტატიაშიც [8], რომლის მიხედვით ქრომოსომული მოშლილობის მაღალი დონე გადაეცემა მემკვიდრეობით პირველ თაობაში ( 1), მეორე თაობაში ( 2) ქრომოსომული აბერაციების დონე მკვეთრად ეცემა (უჯრედების 12,5%-ში, წინააღმდეგ 83,6% 1). ქრომოსომების სტრუქტურული

დაზიანებები იწვევს სპერმატოზოიდების ანომალიებს. ყოველივე ეს, ავტორების დასკვნით, ცხადია, საფუძვლად უდევს ინდუცირებულ სტერილობას.

სტერილობის მიღწევა შეიძლება აგრეთვე დასხივების ოპტიმალური დოზის შერჩევით, რომელიც საჭიროა მდედრის გენოტიპში სქესთან შეჭიდული რეცესიული ლეტალური მუტაციების ინდუქციისთვის [79].

1925-27 წლებამდე გენეტიკოსებს საქმე ჰქონდათ მხოლოდ სპონტანურ მუტაციებთან. ჯონ მელერის [99] გამოქვეყნებულ ნაშრომებში მწერ დროზოფილის მაგალითზე წარმოდგენილია ექსპერიმენტული მონაცემები მაიონიზებული რადიაციის ზემოქმედებით მუტაგენური ეფექტის შესაძლებლობაზე [100].

როზოპჰილა მელანოგასტერ – რიგი ბიოლოგიური თავისებურებების (ხანმოკლე სიცოცხლის ციკლი, მაღალი პროდუქტიულობა, მოკლე დროში წყვილ მშობლისაგან მრავალი ათეული თაობის მიღება), მუტაციების სიხშირის რაოდენობითი ანალიზის სიადვილისა და მისი გენეტიკის უკეთ შესწავლის გამო დროზოფილა ექსპერიმენტულ გენეტიკაში ჩვეული ობიექტი გახდა [67].

მაიონიზებული რადიაციით ზემოქმედებულ ერთი წყვილი მშობლებისგან მოკლე დროში მრავალი ათეული დროზოფილას თაობის მიღება მკვლევარს შესაძლებლობას აძლევს, შეისწავლოს შთამომავლობაში შორეული შედეგები [28].

მწერი აბრემუმხვევი ომბუხ მორი მიეკუთვნება ქერცლფრთიანების ( ეპიდოპტერა) რიგს [39], ნამდვილი აბრემუმხვევის ( ომბიციდაე) ოჯახს [30, 40]. გვარი ომბუხ, სახე

მორი. სინონიმი – აბრეშუმის ჭია მართებულია მხოლოდ აბრეშუმმხვევის ლარვის (მატლის, ჭიის) სტადიისთვის [41].

დადგენილია, რომ აზიასა და ევროპაში 3 000-ზე მეტი აბრეშუმის ჭიის გენოტიპი არსებობს. ტროპიკულ პირობებში აბრეშუმმხვევი მრავალმოსავლიანია (პოლივოლენტურია), დიაპაუზა არ აქვს, სწრაფად მრავლდება, სხეული მომცროა, ლარვის პერიოდი, აბრეშუმის ძაფის სიგრძე მოკლეა, მისი ხარისხი დაბალია, რეზისტენტულია ვირუსული დაავადებებისადმი და ტოლერანტულია მაღალი ტემპერატურის მიმართ [57].

განსხვავებით ტროპიკულისაგან ზომიერ კლიმატურ პირობებში თუთის აბრეშუმმხვევი მონო და ბივოლენტურია, ხასიათდება დიაპაუზის პერიოდის არსებობით, მოდიდო სხეულის ზომით, შედარებით ხანგრძლივი ლარვის პერიოდით, გრძელი აბრეშუმის ძაფით, მისი საუკეთესო ხარისხით, მგრძნობიარეა ვირუსულ დაავადებისადმი და არ არის ტოლერანტული ჰაერის მაღალი ტემპერატურის მიმართ.

გენეტიკოსებისთვის აბრეშუმმხვევი, დროზოფილას შემდეგ არის მეორე მნიშვნელოვანი მწერი. მისი გენომა შეიცავს 18 500 გენს, ხილის ბუზი – 13 379. აბრეშუმის ჭიის გენეტიკური შტამი მოი-ცავს 500-ზე მეტ მუტანტს, ფართო ნაირსახეობის მახასიათებლებით.

ბ. ასტაუროვმა აბრეშუმმხვევის გრენის (კვერცხის) მაგალითზე აჩვენა პირდაპირი მტკიცება X – სხივებით ზემოქმედებულ გრენაზე უჯრედის ბირთვის როლი სხივური დაზიანების შედეგზე, შექმნა სხივური ავადმყოფობის გენეტიკური თეორია [12].

მწერებს შორის, ისევე როგორც დროზოფილას, თუთის აბრეშუმმხვევიას, როგორც ექსპერიმენტის ობიექტს, მთელი რიგი

უპირატესობა აქვს: სწრაფი მოშენება, ჩატარდეს გამოკვლევები დიდ ერთგვაროვან გენეტიკურ მასალაზე (ერთ წყვილ მწარმოებლისგან შესაძლოა რამდენიმე ასეული განაყოფიერებული კვეცხის მიღება), ხანმოკლე სიცოცხლის ციკლის გამო შესაძლებელია მოკლე დროში რადიაციით ზემოქმედებულ გრენაზე ბიოლოგიური ეფექტების აღრიცხვა განვითარების თითოეულ ეტაპზე (ჩანასახის, ჭიის, ჭუპრისა და პეპლის). თუთის აბრეშუმმხვევის პეპლის გრენა რადიობიოლოგიური კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მოსახერხებელი მასალაა [92]. ამით უნდა აიხსნას, რომ მკვლევარების უმრავლესობა თავიანთ ექსპერიმენტში მაიონიზებული რადიაციის ზემოქმედებას გრენაზე აწარმოებენ.

თუთის აბრეშუმმხვევის პეპლის კვერცხის (ჩანასახის) დასხივება 1-3 გრეი დოზით კვერცხის გარსებიდან ჭიების გამოსვლაზე უარყოფით გავლენას არ ახდენს, პირიქით – საკონტროლო ჯგუფთან შედარებით აღინიშნება: რამდენიმე ერთეული პროცენტით გამოჩეკილთა რაოდენობის ზრდა; ჭიის ცხოველმყოფელობის გადარჩენის პროცენტი [75], პარკის და გარსის მომატება [104]; აბრეშუმის ჯირკვლის მასის მომატება ჭიის მეხუთე ასაკში [103]; პარკის ბოჭკოს სიგრძის მნიშვნელოვანი მატება [105].

მასტიმულირებელი გავლენა აბრეშუმმხვევის განვითარების სხვა ეტაპზეც დაფიქსირდა. სახელდობრ, ჭუპრის დასხივებით დაჭუპრების მომენტში და პეპლის გამოსვლამდე ერთი-ორი დღით ადრე.

ჩანასახის დალუპვა იწყება რადიაციის 6 გრეი დოზიდან, 50 და 100 შეადგენს 50 და 100 გრეის შესაბამისად [69].



აბრეშუმხვევიის რადიომგრძობიარობაზე გავლენას ახდენს ასაკი, ჩანასახის განვითარების პირველი დღეები უფრო მგრძობიარეა, ვიდრე მომდევნო. ასევე განვითარების მომდევნო ეტაპები ნაკლებად მგრძობიარეა რადიაციის მიმართ, განსაკუთრებით ჭუპრი, მისთვის  $100$ , დასხივების პირობების გათვალისწინებით (ასაკი, ჯიში, სეზონი), მერყეობს  $1000$ -დან  $3400$  გრემდე [51]. ეს  $10$ - $34$ -ჯერ მეტია ჩანასახის აბსოლუტურ სასიკვდილო დოზასთან შედარებით [94]. სხვადასხვა ჯიშები, ჯიშის ხაზები განსხვავებული რადიომგრძობიარობით გამოირჩევიან [107]. მნიშვნელობა აქვს წლის სეზონს, კვების რეჟიმს, შიმშილს [111]. ჭიის გამოკვებამდე დასხივება ორგანიზმს რადიორეზისტენტულს ხდის [84].

აბრეშუმხვევიის პეპლის კვერცხები საუკეთესო მოდელია კოსმოსური რადიაციის ბიოლოგიური ეფექტების დასადგენად [90]. აბრეშუმხვევიის გრენაზე კოსმოსური რადიაციის ლეტალური და მუტაგენური ეფექტის დასადგენად გამოყენებული იყო კოსმოსური ხომალდები «მირი» და «მატილი», დადგინდა გრენიდან ჭიების გამოსვლის დაბალი რაოდენობა, ემბრიოგენეზის მოშლა და მუტაციების მაღალი სიხშირე [85, 98].

რადიაციული მუტაგენეზის მეთოდის სელექციაში გამოყენებით შეძლეს ისეთი მუტანტების გადარჩევა, რომელთა აბრეშუმხვევიის ჭიის სტადიის ხანგრძლივობა ნაკლები იყო და ამასთანავე პარკის სამეურნეო მახასიათებლები უკეთესი, ვიდრე X სხივებით დაუმუშავებელ მწერებში [112]. ასევე, სხვა მკვლევარების მიერ  $48$  და  $144$  საათი ასაკის კვერცხებზე მაიონიზებული რადიაციის  $5$  ან  $10$  გრეი დოზით ზემოქმედებით მეოთხე თაობაში აღინიშნა პარკების

უფრო დიდი მასა, ვიდრე მწერებში [12], რომელთა კვერცხებს არ განუცდიათ რადიაციის ზემოქმედება [15]. მიღებულ იქნა ანდროგენეტიკური აბრეშუმხვევის ჭიები.

თანახმად ლიტერატურაში არსებული მონაცემებით, მუტაციურ ეფექტებს ადგილი აქვს არამარტო ჩანასახის დასხივების შემთხვევაში, არამედ აბრეშუმხვევის განვითარების სხვა ეტაპებზეც. ასე, მაგალითად, მაქსიმალური მუტაციური ეფექტი მამრებში აღინიშნება ჭიის დასხივებით მეხუთე ასაკის მეექვსე დღეს, სპერმატოციტების ფორმირების სტადიაზე. მაგრამ ეს სტადია ერთდროულად არის ყველაზე რადიომგრძნობიარეც და დასასხივებლად მოუხერხებელი, ამიტომ ამჯობინებენ ჭუპრის ან გრენას დასხივებას.

ლ. ლეჟენკო [38] ემბრიონული  $\mu$  – ლეტალის მისაღებად აბრეშუმხვევის ჭუპრებს ასხივებდა გამა სხივებით მათი განვითარების მეშვიდე–მერვე დღეს. ამ პერიოდისთვის მდედრის სასქესო უჯრედები იმყოფებიან ოოგენეზის პირველი პროფაზის, მამრის – მომწიფებული სპერმატოზოიდების სტადიაზე. ექსპერიმენტში დასხივების დოზა 50 გრეი იყო. დასხივების ამ დოზით მამრის სქესის კვერცხებიდან ჭიების გამოსვლა თითქმის 100%, ხოლო მდედრის სქესის კვერცხებიდან – 50% იყო.

სპეციალური ლიტერატურის გაცნობა გვამღევეს საბაბს გამოვთქვათ შენიშვნები რიგ საკითხებზე. უპირველესად, განვითარებაში მყოფ აბრეშუმხვევის ორგანიზმზე მასტიმულირებელი გავლენის შესახებ. მეცნიერებათა დოქტორ, ნ.ფარცხალაძეს მიაჩნია, რომ მაიონიზებული გამოსხივების ზემოქმედება ცხოველურ თუ მცენარეულ ორგანიზმზე არის რეაქცია დაზიანებაზე, ესე იგი ის მეორადია. ამის მაგალითები მრავალია.

მოგვყავს ერთ-ერთი. ვ.ნ.კულეპანოვის და თანაავტორების [19] ექსპერიმენტში გამა გამოსხივების 15 გრეი დოზით მოლუსკის დასხივება იწვევს ზრდის პროცესის გაძლიერებას. მაგრამ, ვიდრე ეს ეფექტი პრაქტიკაში დაინერგებოდა, შეისწავლეს მოლუსკების რეპროდუქციის უნარი. აღმოჩნდა, რომ გამა რადიაციის 15 გრეი დოზით ორგანიზმზე ზემოქმედება იწვევს გონადების ღრმა დაზიანებას და ერთი წლის შემდეგ მოლუსკების სტერილობას. ცხადია, დასხივებამ, გონადების ენდოკრინული ფუნქციის გამოთიშვამ მეტაბოლიზმის შეცვლა, ქსოვილებში ცხიმის მეტად ჩალაგება გამოიწვია. ანალოგიური მაგალითია მასის მომატება მამრი ღორის მისი დასაჭურვებით (კასტრაციით), განურჩევლად იმისა იქნება ეს მიღწეული დანით სათესლეების ამოკვეთით თუ რადიაციის მაღალი დოზებით შეწყდება სათესლეების ფუნქცია.

პრიმორდიალურ (სინონიმები: პრიმიტიული ანუ პირველადი, კამბიალური, ღეროვანი და სხვა) სასქესო უჯრედებს აბრეშუმბხვევი განვითარების ყველა ეტაპზე შეიცავს. ამიტომ რადიაციით მათი დაზიანება გამოიწვევს ნივთიერებათა ცვლის მოშლას, შედეგად სხეულის მასის მომატებას და რეპროდუქციის უნარის დაქვეითებას ან სრულ შეწყვეტას. ამრიგად, აბრეშუმბხვევის განვითარებაზე რადიაციის «მასტიმულირებელ» გავლენას სათანადო შეფასება უნდა მიეცეს.

აბრეშუმბხვევის ბიოლოგიური მაჩვენებელი განვითარების რომელიმე ერთ ეტაპზე არ გამოხატავს აბრეშუმბხვევის ცხოველმყოფელობის უნარს. ასე, მაგალითად, ხშირად სპეციალურ ლიტერატურაში წერენ გრენას მაღალ ცხოველმყოფელობაზე თუკი დასხივების შემდეგ მათი გამოცოცხლება (ჭიებუს გამოსვლა კვერცხის

გარსებიდან) 100%-ია. მაგრამ ეს არ იძლევა ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს. დაზიანება ვლინდება პოსტემბრიონულ პერიოდში ჭიების გადარჩენის პროცენტისა და მასის შემცირებით. მხოლოდ შედარებით მაღალი დოზები იწვევს ჩანასახის დაღუპვას კვერცხის გარსების შიგნით.

ცხოველთა რადიობიოლოგებისთვის თუთის აბრეშუმმხვევი ჯერ არ გამხდარა კვლევის ჩვეული ობიექტი, ისეთივე როგორც თაგვები და ვირთაგვებია. ამით უნდა აიხსნას, რომ მაიონიზებული გამოსხივების ბიოლოგიური ეფექტები აბრეშუმმხვევის ონტოგენეზში ნაკლებადაა შესწავლილი.

ჩვენს კვლევით მუშაობაში ვხელმძღვანელობდით ზემოთქმულიდან გამომდინარე შენიშვნებით.

## თავი 2

### მასალა, ექსპერიმენტი და მეთოდოლოგია:

თუთის აბრეშუმმხვევია (*Bombyx mori* L.) ერთ-ერთი საინტერესო ობიექტია მასზე რადიაციის ზემოქმედების ბიოლოგიური ეფექტების ონტოგენეზში შესასწავლად. მისი სიცოცხლის ციკლი შეადგენს 1,5 თვეს.

იმ მიზნით, რომ აბრეშუმმხვევიაზე რადიაციის ზემოქმედებით მივაღწიოთ ისეთი მუტანტების შერჩევას, რომლებსაც ექნებათ გენეტიკურად გამტკიცებული დადებითი სამეურნეო ნიშან თვისებები, როგორცაა პარკის მასის და მის გარსში აბრეშუმშემცველობის მომატება, ან ინფექციის მიმართ გამძლეობის

გაზრდა, რადიოსელექციური მუშაობის დაწყებამდე უნდა შეირჩეს რადიაციის დოზები.

ექსპერიმენტები ტარდებოდა აგრარული რადიოოლოგიისა და ეკოლოგიის ინსტიტუტის ცხოველთა რადიობიოლოგიისა და ეკოლოგიის ლაბორატორიაში და აგრარული უნივერსიტეტის მებარეშუმეობის ს/კ ინსტიტუტის სელექცია-გრენაჟის განყოფილებაში.

ექსპერიმენტის ყოველ წელიწადს თუთის აბრეშუმხვევიას გრენა ინახებოდა მაცივარში +2-5 გრადუს ცელსიუს ტემპერატურაზე. გაზაფხულზე (აპრილი, მაისი) გრენა ნადებების სახით თავსდებოდა თერმოსტატში, ჰაერის ტემპერატურა +25 გრადუსი ცელსიუსით, შეფარდებითი ტენიანობა – 70%.

2001 წელს ცდის ობიექტად აღებულ იქნა თუთის აბრეშუმხვევიას მარხამატის ჯიში. დასხივების წყარო  $Cs^{137}$ . დასხივება წარმოებდა გამა დანადგარზე «სტებელ-ემ». გამოსხივების სიმძლავრე 2,5 გრეი/წუთში, ჯამური, ერთჯერადი დოზა მუხლუხის ჭიის პირველი ასაკისათვის 20-30 გრეი. პარკები პეპლების გამოსვლიდან 2-3 დღით ადრე დასხივდა 900 გრეი დოზით.

აბრეშუმის ჭიის ცხოველმყოფელობის ძირითადი მაჩვენებლები გადარჩენა და პროდუქტიულობა (ვარგისი პარკების რაოდენობა და მასა; ჭუპრების, პეპლების მორფოზი) იყო.

2002 წელს გასულ წელთან შედარებით თუთის აბრეშუმხვევიას დასხივების პირობები განსხვავებული იყო. მათზე გამა-გამოსხივების ზემოქმედება ხორციელდებოდა განვითარების ემბრიონალურ პერიოდში, ლარვების გამოჩეკამდე ორი, სამი დღით ადრე, შედარებით დაბალი დოზებით, ორი და ხუთი გრეი, დოზის

სიმძლავრე 2,5 წთ. გარეგანი დასხივების წყარო ცეზიუმ – 137, დანადგარ “სტებელ-ემ”-ში ჩამონტაჟებული.

გამოზამთრებული გრენას ინკუბაცია მიმდინარეობდა 25<sup>0</sup>C ტემპერატურის პირობებში.

ექსპერიმენტის პირველ სერიაში თუთის აბრეშუმხვევიას გამოკვება წარმოებდა ყოველ ორ საათში 8 საათიდან 24 საათამდე და ერთხელ შუალამისას ტემპერატურა 25-28<sup>0</sup>C, შედარებითი ტენიანობა 70%, ვენტილაცია ბუნებრივი. მეორე სერიაში აბრეშუმის ჭიის გამოკვება იყო ოთხჯერადი 8, 12, 16 და 20 საათზე, მაღალი ტემპერატურის 29-30<sup>0</sup>C ვენტილაციის გარეშე, ჰაერის სიმშრალის პირობებში.

მეორე სერიის მიზანი იყო დასხივებულ (ემბრიონალურ პერიოდში) ცხოველებზე არახელსაყრელი პირობების გავლენა მათ ცხოველმყოფელობაზე. დაკვირვებას ექსპერიმენტის ორივე სერიაში ვახდენდით თუთის აბრეშუმხვევიას ონტოგენაზის ყველა ეტეპზე.

2003 წელს ცდის ობიექტად ერთ შემთხვევაში აღებული იქნა ერთ შემთხვევაში “მზიურის” წმინდა ჯიშები, ხოლო მეორე შემთხვევაში “მზიურის” ხაზთაშორისი ჰიბრიდები. საცდელ ობიექტად “მზიურის” ჯგუფის ჯიშებისა და ხაზთაშორისი ჰიბრიდების აღება განაპირობა იმან, რომ ისინი გამოყვანილი არიან სპეციალური დანიშნულებით და ყველა სხვა ჯიშისაგან უნიკალური თვისებებით გამოირჩევიან. გააჩნიათ პარკის ძაფის დიდი სიგრძე (200 მეტრზე ზევით) და დიდი სიწმინდე (4 000-5 000 მეტრული ნომერი). იძლევიან I კატეგორიის (1,56 ტექსი ხაზობრივი სიმკვრივის) ხამი აბრეშუმის ძაფს, რომელიც მსოფლიო ბაზარზე ყველაზე ძვირად და უპრობლემოდ იყიდება. პარკის წარმოების შეწყვეტამდე საფეიქრო

მრეწველობა «მზიური» ჯიშების პარკში 40% ფასს დანამატსაც კი იძლეოდა, სპეციალურად იქნა გადაიარაღებული ოზურგეთის ძაფსაღები ფაბრიკა «მზიური» ჯიშის პარკის ამოხვევისათვის. მზიური ჯიშების პარკიდან მიღებული ძაფი დიდი სიგრძის, სიწმინდისა და სითანაბრის გამო, აპრობირებული და რეკომენდებულია თვალის ქირურგიაში ჭრილობების საკერავ საშუალებად გამოყენებისათვის. მაგრამ «მზიური» ჯიშებს გააჩნიათ ერთი ნაკლოვანი თვისებაც, რაც მდგომარეობს ექსტრემალურ პირობებში შედარებით ნაკლები გამძლეობით. ამიტომ ჩვენს ძირითად მიზანს სასელექციო მუშაობაში შეადგენს რადიაციული მუტაგენუზის მეთოდის გამოყენება არახელსაყრელ პირობებისადმი აბრეშუმმხვევიას გამძლეობის შექმნაში, რომელიც მემკვიდრეობით გადაეცემოდა თაობიდან თაობაში.

დასხივება წარმოებდა გრენის წინაინკუბაციურ პერიოდში გამადანადგარზე “სტებელ ემ”, ერთჯერადად, გამოსხივების წყარო ჩს<sup>137</sup>, სიმძლავრე 2,5 გრეი/წუთში. დოზა 1 და 2 გრეი.

გრენიდან ჭიების გამოსვლიდან ორი კვირის შემდეგ მოხდა 1400 სუბიექტის გადარჩევა. დატოვებულ იქნა შედარებით კარგად განვითარებული 900-მდე ჭია. გადარჩეულ ჭიებზე იმავე დღეს დადგინდა საშუალო მასა, რომელიც ერთი გრეი დოზით ზემოქმედებისას თითქმის არ განსხვავდებოდა დაუსხივებლისგან ( $221 \pm 41$  მგ). ორი გრეი დოზით დასხივებულში ჭიის საშუალო მასა 13%-ით ჩამორჩა საკონტროლო მაჩვენებელს.

ჭიის ცხოველმყოფელობის ძირითად მაჩვენებლად მიჩნეული იქნა დასხივებული ინდივიდების გადარჩენა და პროდუქტიულობა.

2004 წელს კვლევა მიმდინარეობდა თუთის აბრეშუმმხვევიას პირველი თაობის გრენაზე გამა-რადიაციის 5 გრეი დოზის ერთჯერადი და დანაწევრებულად ზემოქმედების გავლენის შესასწავლად მეორე თაობის ბიოლოგიურ ეფექტებზე. ცდა ტარდებოდა ორ სერიად. ექსპერიმენტის პირველ სერიაში დიაპაუზაში მყოფი გრენის დასხივება წარმოებდა იგივე პირობებში, როგორც 2003 წელს გვაქვს აღნიშნული. ცდის მეორე სერიაში ექსპერიმენტი მიმდინარეობდა გრენის უწყვეტი დასხივებით გამა გამოსხივების ველში, დოზის სიმძლავრე – 375, 750 და 1 500 მილირენტგენი/საათში. ექსპოზიცია შესაბამისად 55,5 და 27,7 დღე, დოზა 5 გრეი. ნადებებზე გამოსხივების ხანმოკლე ზემოქმედება იმავე 5 გრეი დოზით, მაგრამ მაღალი დოზის სიმძლავრით –  $15 \times 10^6$  გრეი/საათში წარმოებდა, საკონტროლო ნადებები განიცდიდნენ მხოლოდ ბუნებრივი ფონის (0.015 გრეი/საათში) ზემოქმედებას.

აბრეშუმის ჭიის მოვლა, კვება ტარდებოდა გაზაფხულზე, გრენიდან გამოსვლის მეთოთხმეტე დღეს გადაირჩა შედარებით განვითარებული ჭიები (175 ინდივიდი), დაკვირვება გრძელდებოდა ვარგისი პარკიდან პეპლის გამოსვლამდე.

ჭიის ცხოველმყოფელობის მაჩვენებელი გადარჩენა და პროდუქტიულობა იყო.

2004 წელს ცდის ობიექტი აბრეშუმმხვევიას “მზიური” ჯიშის ხაზთაშორისი ჰიბრიდი იყო. დიაპაუზაში მყოფი გრენას დასხივება წარმოებდა გამა-დანადგარზე “სტებელ ემ”. გამოსხივების წყარო  $^{137}\text{Cs}$ , დოზის სიმძლავრე 2,5 გრეი/წთ.

ერთ ჯგუფში პირველი თაობის ( $F_1$ ) გრენამ (ნადებებმა) განიცადა გამა-გამოსხივების ზემოქმედება 2 გრეი დოზით,



გამოზამთრების შემდეგ მიღებული თაობის ( $F_2$ ) გრენა არ დასხივებულა ( $F_1$  2,  $F_2$  0 გრეი).

მეორე ჯგუფში დასხივებული  $F_1$ -ის თაობის ( $F_2$ ) ნადებები, განსხვავებით პირველი ჯგუფისა დასხივდა 5 გრეი დოზით დანაწევრებული ფორმით 1-2-2 გრეი, ერთი თვის ინტერვალებით.

გრენიდან გამოსვლის მე-4-5 დღიდან დაკვირვებაში მყოფი ჭიების რაოდენობა პირველ და მეორე ჯგუფებში, შესაბამისად, 80 და 96 ცალი იყო.

აბრეშუმოს მოვლა, კვება ტარდებოდა გაზაფხულს.

დაკვირვება გრძელდებოდა პარკებიდან პეპლის გამოსვლამდე.

ჭიის ცხოველმყოფელობის მაჩვენებელი გადარჩენა და პროდუქტიულობა (ვარგისი პარკების რაოდენობა, თვითოეული პარკის და მისი გარსის მასა, გამოსული პეპლების რიცხვი) იყო.

2004 წელს ჭიის მოვლა, კვება ტარდებოდა ზაფხულში (VI, VII თვე). პარკის ახვევიდან მეცხრე დღეს ვწონილით ცოცხალ პარკებს და ჭუპრისგან თავისუფალ პარკის გარსს. ექსპერიმენტის პირველ სერიაში პარკები ჭუპრის სქესის გათვალისწინებით განაწილებული იყო ორ ჯგუფად – მდედრისა და მამრის.

ცდების მეორე სერიაში ვადგენდით მდედრი პეპლის მასას კვერცხების დადებამდე და დადების შემდეგ, ხოლო მამრ პეპლის მასას შეჯვარებამდე და შეჯვარების შემდეგ, რაც წარმოდგენილია ცხრილ 2.1-ში (გვ. 39).

2005 წელს ჩატარდა ექსპერიმენტი თუთის აბრეშუმმხვევის “მზიურის” ჯიშების ხაზთაშორის ჰიბრიდებზე. ზამთრის პერიოდში პეპლის კვერცხების (გრენა) ნადებები ინახებოდა მაცივარში  $+2$ - $+5^{\circ}\text{C}$ .

გაზაფხულს 21 აპრილს იგი მოთავსდა თერმოსტატში, ჰაერის ტემპერატურის  $+25^{\circ}\text{C}$  და შეფარდებითი ტენიანობის 70%-ის პირო

თუთის აბრეშუმმხვევის პარკის მახასიათებლები

მდედრ და მამრ ჭუპრიან პარკებისათვის

ცხრილი 2.1

ჭუპრის სქესი	პარკების რაოდენობა	ცოცხალი პარკის მასა, მგ.	პარკის გარსის მასა, მგ.	პარკის გარსის მასის ცოცხალი პარკის მასასთან თანაფარდობა, %
მდედრი	194	2075±76	507±33	24
მამრი	169	1728±75	501±27	29
სხვაობა პროცენტებში		17%	1%	17%

ბებში. რადიაციის ზემოქმედება გრენაზე ჩატარდა წინაინკუბაციის მომენტში გამა-გამოსხივების დანადგარზე. გამოსხივების წყაროს წარმოადგენდა <sup>137</sup>Cs, ხოლო დოზის სიმძლავრე შეადგენდა 2,5 გრეი/წთ. ნაღებები დაიყო ოთხ ჯგუფად:

1. პირველი თაობა (F<sub>1</sub>) საკონტროლო, დაუსხივებელი, რომელთა აბრეშუმმხვევის წინა თაობების პეპლის გრენას არ განუცდია რადიაციის ზემოქმედება (ინტაქტური);
2. დაუსხივებელი მესამე თაობა (F<sub>3</sub>), რომელთა წინა პირველი ორი თაობის (F<sub>1</sub>, F<sub>2</sub>) გრენა დასხივდა გამა გამოსხივებით;

3. დასხივებული მესამე თაობა ( $F_3$ ), რომელთა წინა პირველი ორი თაობის ( $F_1, F_2$ ) გრენამ განიცადა რადიაციის ზემოქმედება;
4. დასხივებული გრენა, რომელთა წინა თაობების გრენა არ დასხივებულა.

დასხივების პირობები და დოზები წარმოდგენილია ცხრილ 3.10-ში (გვ. 60).

ზაფხულში ექსპერიმენტის ჩასატარებლად აბრეშუმმხვევის ინტაქტური ნადებები დიაპაუზაში გადასვლის ასაცილებლად დავამუშავეთ მარილმჟავით მეთოდით და მოვათავსეთ მაცივარში  $+2 + 4^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე, საიდანაც ყოველდღიურად გამოგვქონდა 100 ცალი გრენა და ვათავსებდით თერმოსტატში ჰაერის  $+25^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე. ასე გრძელდებოდა 7 დღე, რის შემდეგაც ყველა 700 ცალი გრენა დასხივდა 5 გი დოზით ერთჯერადად. ამრიგად, დასხივება მოხდა ინკუბაციის დაწყებიდან სხვადასხვა დღეს.

ერთი ნადები, რომლის აბრეშუმმხვევის წინათაობებმა განიცადეს გამა-გამოსხივების ზემოქმედება, ბუნებრივად ასცდა დიაპაუზაში გადასვლას.

ზაფხულს (ივლისში) საჭიეში დღის ტემპერატურა აღწევდა  $+29 - +30^{\circ}\text{C}$ , შეფარდებითი სინოტივე 55-60%, ვენტილაცია კი იყო ბუნებრივი. ჭიები კვერცხის გარსებიდან გამოვიდნენ ინკუბაციის მე-9 დღეს.

ჭიის ცხოველმყოფელობის ძირითადი მაჩვენებლები გადარჩენა, პარკის და მისი გარსის მასა, ვარგისი პარგებიდან გამოსული პეპლების რაოდენობა იყო.

### თავი 3

#### გამა გამოსხივების გავლენა აბრეშუმის ჭიის ცხოველმყოფელობაზე

თუთის აბრეშუმხვევიას მაღალი ცხოველმყოფელობა და პროდუქტიულობა სხვა ფაქტორებთან ერთად დიდად არის დამოკიდებული დიაპაუზისა და ემბრიოგენეზის ნორმალურ მიმდინარეობაზე და მისი ანომალიის დროულ პროგნოზირებაზე. თუთის აბრეშუმხვევიას ზრდა განვითარება, ცხოველმყოფელობა, მეტაბოლური პროცესების მიმდინარეობა, გენერაციის ხანგრძლივობა, კვების ინტენსივობა, პროდუქტიულობა და სხვა დიდად არის დამოკიდებული გარემო-ფაქტორებზე.

თუთის აბრეშუმხვევის კვერცხები (გრენა) რადიობიოლოგიური კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მასალაა. რადიოლოგიური კვლევა არის ფუნდამენტი სელექციურ მუშაობაში რადიაციული მუტაგენეზის მეთოდის დახვეწაში [137].

2001 წელს ჩატარებულ ექსპერიმენტიდან ჩანს, გამა გამოსხივების ზემოქმედება ცდებში გამოყენებული დოზებით, აბრეშუმხვევიას მუხლუხას სხვადასხვა ასაკში, იწვევს ცხოველმყოფელობის დაქვეითებას, ამცირებს მათ გადარჩენას, მატულობს პარკების წუნი, ვარგისი პარკების მასა დაქვეითებულია. განსაკუთრებით უარყოფით გავლენას ახდენს გამა-გამოსხივების ზემოქმედება პირველ და მეორე ასაკში (ცხრილი 3.1 გვ. 43).

დასხივებული ჭიის, ამასთანავე სანერწყვე ჯირკვლის მასა, მკვეთრად ქვეითდებოდა და ასეთებს საერთო რაოდენობიდან ვაშორებდით. იმ სუბიექტებშიც კი, როდესაც მათი მასა, ახვევის დაწყებამდე, უახლოვდებოდა საკონტროლო ჯგუფს (4,8 - 5,0გრ) დიდი იყო პარკების წუნი, სქესის განმასხვავებელი ნიშანი მდებარე

გამა გამოსხივების გავლენა თუთის აბრეშუმხვევიას

პროდუქტიულობაზე

ცხრილი 3.1

ცდის ვარიანტები	მუხლუხების ასაკი და დოზა დასხივების მომენტში	დასხივების დოზა, გრეი	მუხლუხების რაოდენობა, ცალი	მუხლუხების რაოდენობა, რომლებმაც მიაღწიეს ახვევას		ვარგისი პარკები		ვარგისი პარკების საშუალო მასა, გრ
				რიცხვი	%	რიცხვი	%	
საკონტროლო			87	87	100	59	67	2.07
საცდელი	მე-2 ასაკში	10	30	26	86.6	7	27	1.62
საცდელი	I ასაკში	20	47	18	38.3	2	11	1.36
საცდელი	II ასაკში	20	52	24	46.1	7	29.2	1.7
საცდელი	III ასაკში	20	32	12	38	8	66.6	1.8
საცდელი	IV ასაკში	30	16	16	100	8	50	1.75

ჭუპრებში სუსტად გამოხატული იყო, პარკებიდან გამოსულ პეპლებში განვითარების ანომალიები ხშირი იყო. განსაკუთრებით მცირე ზომის ფრთები.

ყველა გამოყენებულმა დასხივების დოზამ, ჭიის სხვადასხვა ასაკში, უარყოფითი გავლენა მოახდინა აბრეშუმხვევის განვითარებაზე, პროდუქტიულობაზე.

ჭუპრების დასხივებისას, 900 გრეი დოზით, პარკებიდან პეპლების გამოსვლის პროცენტი თითქმის არ განსხვავდებოდა დაუსხივებლისგან (80%). აბრეშუმხვევიას მარხამატის ჯიშის მაღალი რადიორეზისტენტობა, განსხვავებით “სანიშის” 21, 17 ჯიშებისაგან, შეიძლება აიხსნას ჯიშობრივი თავისებურებებით.

დასხივებულ სუბიექტებში, განვითარების ანომალიები, შესაძლოა განპირობებული იყოს ბიოგენეზში მკვეთრად მომატებული ქრომოსომების რეკომბინაციებით, მათი სიხშირე (დოზა 10 გრეი) დაუსხივებელთან შედარებით, 16-ჯერ მეტია. რადიოსელექციის მიზნით, პერსპექტიული უნდა იყოს შედარებით დაბალი დოზების გამოყენება, 5 გრეი და მის ქვემოთ. ნ. ი. იუსუფოვის და თანაავტორების [4, 5] მონაცემებით ერთჯერადი 2 გრეი დოზით ზემოქმედება გრენასა და მუხლუხებზე, ახდენს მასტიმულირებელ გავლენას, ზრდის მუხლუხების მასას, პარკების წონას და მის გარსში აბრეშუმშემცველობას.

2002 წელს ჩატარებულმა ექსპერიმენტის შედეგებმა აჩვენა, რომ დასხივებული ლარვების გამოჩეკის პროცენტი არსებითად არ განსხვავდებოდა დაუსხივებლისაგან.

კვერცხების გარსიდან გამოსვლის ორი კვირის შემდეგ დავადგინეთ აბრეშუმის ჭიის მასა, მასის გადახრა საკონტროლო



მაჩვენებელთან შედარებით ორი გრეი დოზით დასხივებულებში შეადგენს +6,8%-ს, ხუთი და ათი გრეი დოზით შესაბამისად –13, -12,5%-ს. ყურადღებას იქცევს მასის საშუალო არითმეტიკული გადახ-

აბრეშუმის ჭიის მასა კვერცხის გარსიდან  
გამოსვლის ორი კვირის შემდეგ

ცხრილი 3.2

ცდის პირობები	დასხივების დღე, გრეი	მასა, მგ (საშუალო)	პროცენტი საკონტროლოსთან მიმართებაში	გადახრის პროცენტი	შერჩეული ჭიების მასა, მგ
საკონტროლო	0	440±4	100	-	605
ჭიების გამოჩეკამდე 2-3 დღით ადრე დასხივებული გრენა	2	470±18	106.8	+6.8	645
ჭიების გამოჩეკამდე 2-3 დღით ადრე დასხივებული გრენა	5	383±26.5	87.0	-13.0	572
ჭიების გამოჩეკამდე 2-3 დღით ადრე დასხივებული გრენა	10	385±61	87.5	-12.5	582

რა. რაც უფრო დიდია დასხივების დოზა, მით მეტია გადახრაც და შესაძლო დაღუპვის ალბათობაც. ამ ეტაპზე ვახდენდით ჭიების გადარჩევას (ცხრილი 3.2 გვ. 45).

შემდგომი მუშაობისათვის შერჩეული იქნა მხვილი ეგზემპლარები, რომელთა საშუალო მასა აღემატებოდა გადარჩევის გარეშე ჭიების მასას. თითოეულ ჯგუფში შერჩეულ ჭიების რაოდენობა ასეთი იყო: დაუსხივებელი (საკონტროლო) – 45; დასხივებულები ორი გრეი დოზით 27; 5 და 10 გრეი დოზით ათ-ათი ინდივიდი. როგორც საკონტროლო, ისე ემბრიონალურ პერიოდში ორი გრეი დოზით დასხივებულებში ჭიების მიერ ახვეული პარკების წუნი შეადგენდა 34%, 5 და 10 გრეი დოზებით – 60-80%, შესაბამისად.

ვარგისი პარკების საშუალო მასაზე და აბრეშუმშემცველობაზე ორი გრეი დოზით დასხივებამ, როგორც ეს წარმოდგენილია ცხრილში 3.3 (გვ. 47) ჩანს, გავლენა არ მოახდინა.

საცდელი ჯგუფიდან (2 გრეი) შეჯვარებისათვის შერჩეულ ცხრა პარკიდან ორი პეპელა არ გამოვიდა, თუმცა იყვნენ ცოცხლები, დანარჩენ ექვს აღენიშნებოდა ანომალიები, განსაკუთრებით თვალშისაცემი ზედმიწევნით პატარა ფრთები იყო. შეჯვარებისათვის ისინი უუნარონი იყვნენ. მხოლოდ ერთი პეპელა გარეგნულად ნორმალური იყო, დაუსხივებელთან შეჯვარებისას დადო კვერცხები.

აბრეშუმის ჭიის მე-5 ასაკში არახელსაყრელ პირობებში გამოკვებამ (მაღალი ტ-რა, დაბალი შედარებითი სინოტივე, ვენტილაციის არ არსებობა) უარყოფითი გავლენა იქონია როგორც დაუსხივებელ, ისე ემბრიოგენეზში დასხივებულ ცხოველებზე. მათ განუვითარდათ დაავადება-სიმჭლევე (ცხრილი 3.4 გვ. 48).

ჭიების დიდი უმრავლესობა დაილუპა და მხოლოდ მცირე რაოდენობამ მიაღწია პარკის ახვევას, ამასთანავე, დიდი იყო წუნი, შესაბამისად, მცირე რაოდენობა და ვარგისი პარკების თითქმის არ

ვარგისი პარკების საშუალო მასა და აბრეშუმშემცველობა

ცხრილი 3.3

ცდის პირობები	დასხივების დოზა, გრეი	საერთო (პარკის) მასა, მგ	ვარგისის მასა, მგ	აბრეშუმშემ- ცველობა, %
საკონტროლო	0	1972±202	490±43	25
ჭიების გამოჩეკამდე 2-3 დღით ადრე დასხივებული გრენა	2	2010±127	488±32	25
ჭიების გამოჩეკამდე 2-3 დღით ადრე დასხივებული გრენა	5	1838±121	423±18	23
ჭიების გამოჩეკამდე 2-3 დღით ადრე დასხივებული გრენა	10	1813±47	453±7	25

არსებობა. მათი მასა საგრძნობლად ჩამორჩება ნორმალურ პირობებში ახვეულ პარკების მასას. არსებული განსხვავება დაუსხივებელ და დასხივებულ (2 გრეი) ჯგუფებს შორის – საცდელში შედარებით მეტი რაოდენობა ახვეული პარკებისა, არ იძლევა საფუძველს გავაკეთოდ დასკვნა, რომ დასხივებამ ასწია აბრეშუმმხვევიას რეზისტენტობა დაავადების მიმართ – ყველა დაიხოცა ჭუპრის სტადიაზე.

მუტაციების სიხშირე დიდია ორგანიზმზე რადიაციის მაღალი დოზით ზემოქმედებისას [137]. მაგრამ, იმის გამო, რომ ცხოველმყოფელობა ამ შემთხვევაში მკვეთრად ითრგუნება, დიდია დალუპულთა რიცხვიც. ანალოგიურ შემთხვევას აქვს ადგილი თუთის აბრეშუმმხვევიას გრენაზე რადიაციის მაღალი დოზებით მოქმედებისას [2].

2003 წელს ჩატარებულ ექსპერიმენტში დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ორი გრეი დოზით დასხივებული გრენიდან (დასხივება ჩატარდა სამ განმეორებაში, თითოეულში 100 გრენით) გამოსულ ჭიებში გამოსვლიდან ოცდამეერთე დღეს ადგილი აქვს გადარჩენილთა რაოდენობისა და ჭიის მასის შემცირებას, შესაბამისად  $34\pm 3$  და  $20\pm 1$  პროცენტით საკონტროლოსთან მიმართებაში. ერთი გრეი დოზით ნადებების დასხივებისას რადიაციის ეფექტი ნაკლებია. საცდელ - საკონტროლო ინდივიდებზე დადგინდა ცოცხალი პარკის (პარკი ჭუპრით), გარსის და ცოცხალი პარკის აბრეშუმთანობის პროცენტის მაჩვენებლები, რომელიც წარმოდგენილია ცხრილ 3.5-ში (გვ. 50).

როგორც ცხრილიდან ჩანს, აბრეშუმმხვევის შერეული ჯიშების პერკებში დასხივების ერთი გრეი დოზა არ ავლენს დაუსხივებელთან

შედარებით პარკისა და გარსის მასაზე ზემოქმედებას. ორი გრეი დოზა უმნიშვნელოდ აქვეითებს გარსის მასას (5,3%-ით). მხოლოდ აბრეშუმხვევის გარკვეულ ჯიშებზე, როგორც ეს ცხრილიდან ჩანს

**სიმჭლევით დაავადების გავლენა აბრეშუმის  
ჭიის ცხოველყოფელობაზე**

**ცხრილი 3.4**

ცდის პირობები	დასხივების დოზა, გრეი	ჭიის რაოდენობა	დაღუპულთა რიცხვი	ახვეული პარკების რიცხვი	ვარგისი პარკები, ცალი	პარკის საერთო მასა, მგ	აბრეშუმში ცვნილობა, %
საკონტროლო	0	108	93	15	4	1300	27.7
ჭიების გამოჩეკამდე 2-3 დღით ადრე დასხივებული გრენა	2	113	81	32	16	1203	25
ჭიების გამოჩეკამდე 2-3 დღით ადრე დასხივებული გრენა	5	120	98	22	1	1135	28

**თუთის აბრეშუმმხვევიას პარკის, გარსის მასისა და ცოცხალი პარკის აბრეშუმთანობის მაჩვენებლები ექსპერიმენტის სხვადასხვა პირობებში**

**ცხრილი 3.5**

პარკის რაოდენობა	ჯიში	ნადებებზე რადიაციის ზემოქმედების დოზა, გრეი	ცოცხალი პარკის მასა, გ.	პარკის გარსის მასა, მგ.	ცოცხალი პარკის აბრეშუმთანობა, %
273	შერეული	საკონტროლო, 0	2.06±0.4	488±17.4	23.7
228	შერეული	1	2.03±0.1	483±28.0	23.8
247	შერეული	2	1.95±0.1	462±18(-5.3%)	23.7
99	ბ-4	საკონტროლო, 0	1.99±0.1	466±38	23.4
70	ბ-4	1	1.96±0.19	464±50	23.7
73	ბ-4	2	1.76±0.14(-)	437±50(-6.3%)	24.8

			11.6%)		
100	მზ4-1	საკონტროლო, 0	2.07±0.07	487±13	23.5
99	მზ4-1	1	2.07±0.07	494±6	23.9
118	მზ4-1	2	2.16±0.05(+4.3%)	492±18	22.8

ფრჩხილებში მოცემულია მასში განსხვავების % საკონტროლოსა და საცდელს შორის.



რადიაციის ერთი და ორი გრეი დოზა განსხვავებულ გავლენას ამჟღავნებს.

მეოთხე ხაზის (ბ-4) მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იგი პარკის მახასიათებლებით აღმოჩნდა უფრო რადიუმგრძობიარე, ვიდრე მზიური-4-ის ხაზთაშორისი ჰიბრიდები. წმინდა ხაზის პარკის დაბალი მახასიათებლები უნდა აიხსნას ინბრიდინგული დეპრესიით.

ბ-4-ში ასევე ყურადღებას იქცევს საცდელი პარკების გარსის მაღალი საშუალო არითმეტიკული გადახრა, რაც იმის შესაძლებლობას იძლეოდა, რომ შერჩეულიყო საუკეთესო პარკებში საუკეთესო საჯიშე ინდივიდები თაობაში გასამრავლებლად.

სამეურნეო მაღალი მაჩვენებლებით შეირჩა საცდელი და საკონტროლო პარკები. მათგან გამოსული პეპლები შეჯვარდა არანათესაური პრინციპით. გრენა ნადების სახით გამოზამთრების შემდეგ დასხივდა და მათზე სასელექციო მუშაობა გაგრძელდა 2004 წელს.

სპეციალურ ლიტერატურაში არსებული მონაცემების თანახმად, თუ ბიოლოგიურ ობიექტებს მაიონიზებული გამოსხივების ზემოქმედების გარკვეული დოზა ეძლევათ დანაწევრებული ფორმით, დროის ინტერვალებით, მაშინ ის ჩვეულებრივ ნაკლებად ეფექტურია, ვიდრე ერთჯერადი იგივე ჯამური დოზით.

გამოსხივების დოზის დანაწევრების რაოდენობა, ინტერვალებს შორის დროის ხანგრძლივობა, დოზის სიმძლავრის სიდიდე, მათი ერთობლიობა შეიძლება წარმოდგენილი იყოს მრავალი კომბინაციით, რაც უნდა განაპირობებდეს ორგანიზმის რეაქციის მრავალნაირობას.

2004 წელს ჩატარებულ ექსპერიმენტი შეეხებოდა გრენაზე გამა რადიაციის დანაწევრებული დოზებით ზემოქმედების გავლენის

შესწავლას თუთის აბრეშუმმხვევიას თაობის ცხოველმყოფელობაზე, რომელიც წარმოებდა განსაზღვრულ პირობებში. ცდის შედეგები მოყვანილია ცხრილში 3.6-ში (გვ. 53).

როგორც ცხრილიდან ჩანს პირველი და მეორე ჯგუფის გრენიდან გამოსული ჭიების რიცხვი 87-85%-ია. ე.ი. ემბრიონალურ პერიოდთა დაღუპულთა რიცხვი 13-15%-ია.

ჭიის ცხოველმყოფელობის მაჩვენებლები, მათი გრენიდან გამოსვლის შემდეგ, როდესაც მე-2 თაობის გრენა დასხივებულია დანაწევრებული დოზებით 1-2-2, სუმარული დოზა 5 გრეი, უკეთესია ვიდრე იგივე 5 გრეი დოზით დასხივებას ფრაქციონირების გარეშე. უკანასკნელ შემთხვევაში ჭიების 50%-მა ვერ მიაღწია ახვევას, პარკიდან პეპლების გამოსვლის პროცენტი I და II ჯგუფებში შესაბამისად, 61 და 32, პარკის გარსის მასა ჩამორჩება 16%-ით.

ამავე ცხრილში ყურადღებას იპყრობს პირველი თაობის 2 გრეი დოზით დასხივების შედეგები მე-2 თაობაში. თუმცა, მე-2 თაობის გრენას არ განუცდია გამა-გამოსხივების ზემოქმედება, ცხოველმყოფელობის მაჩვენებელი დაბალია. მე-2 თაობაში გრენის დანაწევრებული დოზებით დასხივებამ მოხსნა პირველი თაობის დასხივებული გრენის უარყოფითი გავლენა მეორე თაობაში. ამრიგად, დოზის დანაწევრებით, მათ შორის გარკვეული ინტერვალებით, მცირდება თითოეული დანაწევრებულის დოზის სიდიდეც, რაც ხელს უწყობს ორგანიზმის რადიორეზისტენტობის ამაღლებას. სპეციალურმა გამოკვლევებმა [138, 139, 140] სხვა ბიოლოგიურ ობიექტებზე აჩვენა, რომ მცირე დოზები ორგანიზმს რეზისტენტულს ხდის შემდეგი დასხივების მიმართ.

ცნობილია ბიოლოგიურ ეფექტზე რადიაციის დოზის სიმძლავრის მნიშვნელობა, ამის თვალსაჩინო მაგალითია ვირთაგვებზე გამა გამოსხივების ზემოქმედება. მათთვის 6 გრეი დოზით ზემოქმედება, როდესაც 17 საათის განმავლობაში დოზის სიმძლავრე 30 რენტგენი/საათია 80-100 პროცენტში სასიკვდილოა, ხო-

ექსპერიმენტის სხვადასხვა პირობებში გრენაზე გამა-რადიაციის  
ზემოქმედების გავლენა აბრეშუმხვევის თაობის  
ცხოველმყოფელობაზე

ცხრილი 3.6

დასხივების დოზა F <sub>1</sub> და F <sub>2</sub> -ისათვის	კვერცხების რაოდენობა	გამოსული ჭიის რაოდენობა და პროცენტები	IV-V დლიდან დაკვირვებაში მყოფი ჭიის რაოდენობა, ც.	21-ე დღისთვის ჭიის რაოდენობა, ც, %	მათი საშუალო მასა, გრ	გადარჩეულთა რაოდენობა, ც	პარკი ახვია	ვარგისი პარკის რაოდენობა, ც	პარკებიდან პეპელა გამოვიდა, ც, %	პარკის და გარსის მასა, მგ
F <sub>12</sub> , F <sub>20</sub>	732	637-87	80	36-45	578	22	22	21	10-48	2177±201 525±65
F <sub>12</sub> , F <sub>21-2-2</sub>	852	727-85	96	58-60	694	29	26	26	16-61	2494±188 544±50
F <sub>10</sub> , F <sub>25</sub>			75 <sup>*)</sup>				37	25	8-32	1843±202 445±54

<sup>\*)</sup> მე-14-ე დლიდან დაკვირვებაში მყოფი ჭიების რაოდენობა

ლო იგივე ექვსი გრეი ათასი დღის განმავლობაში, ერთი მილირენტგენი/საათში ვირთაგვების სიცოცხლის ხანგრძლივობაზე გავლენას არ ახდენს.

თუთის აბრეშუმმხვევიას გრენაზე ქრონიკული გამა გამოსხივების ზემოქმედებაზე ბიოლოგიური ეფექტის მონაცემები ურთიერთგამომრიცხავია.

გამომდინარე იქიდან, რომ ეს საკითხი თუთის აბრეშუმმხვევიაზე არასაკმაოდაა შესწავლილი კვლევის მიზნად დავისახეთ დადგინდეს დიაპაუზაში მყოფ გრენაზე ერთი და იმავე დოზით პროლონგირებული და ხანმოკლე გამა გამოსხივების ზემოქმედების გავლენა თუთის აბრეშუმმხვევიას ცხოველმყოფელობაზე.

2004 წელს ჩატარებული ექსპერიმენტი გამა რადიაციის დოზის სიმძლავრის გავლენას თუთის აბრეშუმმხვევიას ჭიის ცხოველმყოფელობას. გრენის დასხივების ჯამური დოზა 5 გრეი. შედეგები მოყვანილია ცხრილ 3.7-ში (გვ. 55).

როგორც ცხრილიდან ჩანს, დოზის სიმძლავრის ზრდასთან ერთად კლებულობს ვარგისი პარკების და გამოსული პეპლების რაოდენობა. გრენას  $15 \times 10^6$  გრ/სთ დოზის სიმძლავრით დასხივებისას განსაკუთრებით დიდია დაღუპული ჭიების რაოდენობა, მათგან მხოლოდ ნახევარმა მიაღწია პარკის ახვევას, ამასთანავე, 37 პარკიდან 25 აღმოჩნდა ვარგისი და მათგან გამოსული პეპლების პროცენტი შეადგენს 32-ს, მაშინ როდესაც 375, 750 მრ/სთ დოზის სიმძლავრისას შესაბამისად 63 და 44 პროცენტია. ასეთი შედეგები, ჩვენი აზრით, აიხსნება იმით, რომ ბიოლოგიური ობიექტის დაბალი დოზის

სიმძლავრით დასხივებისას სტრუქტურული დაზიანება ნაკლებია, რის გამოც აღდგენის პროცესი გაადვილებულია.

აბრეშუმის პარკის მახასიათებლებს შორის სახელდება ცოცხალი პარკისა (პარკი ჭუპრით), და მისი გარსის მასა, ასევე, ამ

გამა-რადიაციის დოზის სიმძლავრის გავლენა აბრეშუმხვევის ჭიის ცხოველყოფელობაზე (გრენის დასხივების ჯამური დოზა 5 გრეი)

ცხრილი 3.7

გრენაზე რადიაციის ზემოქმედების დოზის სიმძლავრე, გრ/სთ	ექსპოზიცია	გადარჩეული ჭიების რიცხვი გრენიდან გამოსვლის მე-14 დღეს	პარკის რაოდენობა, ცალი					ვარგისი პარკების მახასიათებლები	
			აახვია	წუნი	ვარგისი	ვარგისი პარკიდან		პარკის მასა, მგ.	გარსის მასა, მგ.
						შეპეულა გამოვიდა	%		
0.015	-	50	49	7	42	34	81	2438±326	638±54
375	55 dRe	25	22	3	19	12	63	2060±278	531±53
750	27.4 dRe	25	23	7	16	7	44	2230±275	531±55
15X10 <sup>6</sup>	2 wT	75	37	12	25	8	32	1843±202	445±54

უკანასკნელის პროცენტული რაოდენობა ცოცხალი პარკის მასასთან მიმართებაში. როგორც წესი, ეს პროცენტული რაოდენობა ნაკლებია იმ პარკებისთვის, სადაც მდედრი ჭუპრი იმყოფება და პირიქით – მეტია იმ პარკებისათვის, რომლებიც მამრ ჭუპრს შეიცავენ. მეაბრეშუმეებს მიაჩნიათ, რომ პირველ შემთხვევაში ცოცხალი პარკის აბრეშუმეობა დაბალია, მეორე შემთხვევაში კი მაღალი. არის კი ასეთი შეფასება მართებული? ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა წარმოადგენს ჩვენი კვლევის მიზანს.

2004 წელს ჩატარებული ექსპერიმენტში დადგინდა თუთის აბრეშუმეობის პარკის მახასიათებლები მდედრ და მამრ ჭუპრიანი პარკებისთვის. ცდების შედეგები წარმოდგენილია ცხრილ 3.8-ში (გვ. 57).

როგორც ცხრილიდან ჩანს, პარკის აბრეშუმის გარსის მასა მდედრ და მამრ ჭუპრიან პარკების მასას შორის. მდედრ ჭუპრიან პარკის მასა 17%-ით მეტია, რაც ამავე 17%-ით აქვეითებს ცოცხალი პარკის აბრეშუმეობის პროცენტს. ამ ფაქტიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ პარკის გარსის ცოცხალი პარკის მასასთან თანაფარდობა არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი მაჩვენებელი ცოცხალი პარკის აბრეშუმეობის. ამ მოსაზრებას ადასტურებს აგრეთვე ცხრილ 3.9-ში წარმოდგენილი ცდების შედეგებიც.

როგორც ცხრილ 3.9-დან ჩანს (გვ. 58), კვერცხების დადების შემდეგ მდედრი პეპლის მასა ნახევრდება და უტოლდება მამრის მასას, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მდედრის პეპლის მასა მამრთან შედარებით განპირობებულია მასაში კვერცხების არსებობით. ამიტომაც არის მდედრ ჭუპრიან პარკებში აბრეშუმეობის პროცენტული შემცველობა დაბალი მამრ ჭუპრიან პარკებთან



შედარებით. ცხადია, რომ პარკის აბრეშუმინობას განაპირობებს პარკის გარსის მასა, რომელიც მდებარე და მამრ ჭუპრიანი პარკებისთვის თითქმის თანაბარია.

თუთის აბრეშუმმხვევის პარკის მახასიათებლები  
 მდედრ და მამრ ჭუპრიან პარკებისათვის

ცხრილი 3.8

ჭუპრის სქესი	პარკების რაოდენობა	ცოცხალი პარკის მასა, მგ.	პარკის გარსის მასა, მგ.	პარკის გარსის მასის ცოცხალი პარკის მასასთან თანაფარდობა, %
მდედრი	194	2075±76	507±33	24
მამრი	169	1728±75	501±27	29
სხვაობა პროცენტებში		17%	1%	17%

თუთის აბრეშუმბხვევის მდედრი და მამრი  
პეპლის მასა სხვადასხვა პირობებში

ცხრილი 3.9

პეპლის რაოდენობა	მდედრი პეპლის მასა, მგ.				პეპლის რაოდენობა	მამრი პეპლის მასა, მგ.			
	კვერცხების დადებამდე	კვ. დადების შემდეგ	სხვაობა			<i>Sejvarebamde</i>	შეჯავარების შემდეგ	სხვაობა	
			მგ	%				მგ.	%
7	988±76	423±49	549± 74	46.7	6	446±3 3	423±25	23±11	5.2

ცნობილია, რომ თუთის აბრეშუმმხვევიას ცხოველმყოფელობა და მოსავალი მცირდება თითქმის ორჯერ არახელსაყრელი ზაფხულის, ზაფხულ-შემოდგომის პერიოდის პირობებში, რაც განპირობებულია ჰიდროთერმული რეჟიმისა და თუთის ფოთლის საკვები თვისებების შეცვლით. ჩვენს მიერ ადრე ჩატარებულმა ექსპერიმენტმა [1] აჩვენა, რომ აბრეშუმმხვევის პირველი ორი თაობის გრენას გამა-გამოსხივებით დასხივებამ მომდევნო თაობაში აამაღლა რადიორეზისტენტობა. ბუნებრივია, ისმება კითხვა, არის ეს სპეციფიკური მხოლოდ რადიაციის მამართ, თუ გამძლეობა ასევე ვლინდება სხვა არახელსაყრელი პირობების შემთხვევაშიც – ზაფხულის გამოკვების დროს.

როგორც ცხრილიდან ჩანს (ცხრილი 3.10 გვ. 60) გაზაფხულის სეზონში გადარჩეული იმ ჭიების განვითარება, რომელთა წინათაობებმა განიცადეს გრენაზე გამა-გამოსხივების ზემოქმედება, რიგი მაჩვენებლებით ახლოსაა ან აჭარბებს საკონტროლო ჯგუფის ჭიების განვითარებას. ასე მაგალითად, პარკის გარსის მასა მე-2, მე-3 ჯგუფში 10%-ით მეტია საკონტროლო ჯგუფთან შედარებით. ინტაქტურ გრენასთვის გამა-გამოსხივების 5 გი დოზა მკვეთრად აქვეითებს ჭიის ცხოველმყოფელობის ყველა მაჩვენებელს. განსაკუთრებით რადიომგრძნობიარეა ერთი დღის ჩანასახი.

შედარებით უკეთეს გამძლეობას ზაფხულის არახელსაყრელი პირობებისადმი ავლენენ დაუსხივებელი მე-4 თაობის გრენიდან გამოსული ჭიები, რომელთა წინა თაობების პეპლების კვერცხების ნადებმა განიცადა გამა-გამოსხივების ზემოქმედება. სახელდობრ, ვარგისი პარკებისა და მათგან გამოსული პეპლების რაოდენობა პროცენტებში არ განსხვავდება გაზაფხულს გამოკვებული ჭიების

ამავე მაჩვენებლებისაგან. ცოცხალი პარკისა და მისი გარსის მასა შესაბამისად 17 და 27 პროცენტით მეტია ზაფხულს გამოკვებულ საკონტროლოსთან შედარებით.

**თუთის აბრეშუმმხვევის გრენაზე გამა-გამოსხივების ზემოქმედების გავლენა ჭიის ცხოველმყოფელობაზე (გადარჩენა, პროდუქტიულობა და რეპროდუქცია) განსხვავებულ სეზონურ პირობებში (2005)**

**ცხრილი 3.10**

ჯგუფის <sup>1</sup>	დასხივების პირობები	კვერცხების რაოდენობა		გამოსული ჭიები		% გამოსული რაოდენობა და % გამოსულ ჭიებთან		ჭიების საშუალო მასა მგრ და %		გადარჩეული ჭიის რაოდენობა და მასა მე-19 დღე ს		წარმოებული პროდუქტიულობა, % ჭიის რაოდენობასთან		გამოსული პროდუქტიულობა, და % პარკის რაოდენობასთან		ცოცხალი პარკის (პარკი ჭიებრით) მასა	პარკის გარსის მასა	ხეულს გამოკვეთულ საკონტროლოსთან	
		ც	ც	%	ც	%	მგ	%	ც	მგ	ც	%	ც	%	მგ	მგ	%		
<b>ჭიის გამოკვება გაზაფხულს (მაისი)</b>																			
1	საკონტროლო (ინტაქტური)	1415	1357	<b>96</b>	1228	<b>90</b>	228±18	<b>100</b>	345	255±11	275	<b>80</b>	179	<b>65</b>	2366±97	533±32	<b>100</b>		
2	♀ <sub>12</sub> ; 2 <sub>1+2+2</sub> X ♂ <sub>12</sub> ; 2 <sub>10</sub> , 3 <sub>0</sub>	1175	1127	<b>96</b>	1027	<b>91</b>	175±32	<b>77</b>	90	267±13	60	<b>66</b>	43	<b>71</b>	2255±21	588±25	<b>110</b>		
3	♀ <sub>12</sub> ; 2 <sub>1+2+2</sub> X ♂ <sub>12</sub> ; 2 <sub>10</sub> , 3 <sub>5</sub>	928	874	<b>94</b>	769	<b>88</b>	151±43	<b>66</b>	90	258±14	66	<b>73</b>	43	<b>65</b>	2347±100	590±20	<b>110</b>		
4	ინტაქტური 5 გრეით დასხივებული								75		25	<b>33</b>	8	<b>32</b>	1843±202	445±54	<b>83</b>		
<b>ჭიის გამოკვება ზაფხულს (ივლისი)</b>																			
1	საკონტროლო (ინტაქტური)	175	165	<b>94</b>	145	<b>89</b>	246	<b>100</b>	50	260	42	<b>84</b>	28	<b>56</b>	1450±156	325±50	<b>61</b>		
2	♀ <sub>1</sub> უწყვეტი Σ <sub>2+2+1</sub> უწყვეტი Σ <sub>2</sub> , 2 <sub>2</sub> 3 ფრაქციული Σ <sub>11+10</sub> X ♂ <sub>12</sub> 2 <sub>10</sub> 4 <sub>0</sub>	396	302	<b>76</b>					40		32	<b>80</b>	25	<b>62</b>	1621±225	412±37	<b>77</b>		
3	ჩანასახები სხვადასხვა დღის (4-8) 5 გი	700	700	<b>100</b>	596	<b>85</b>	224±12	<b>91</b>	125		68	<b>54</b>	19	<b>28</b>	1168±172	266±35	<b>50</b>		
4	ერთი დღის ჩანასახი 5 გრეით დასხივებული	472			395	<b>84*</b>	152±12	<b>62</b>	100		27	<b>27</b>	15	<b>55</b>	1189±102	250±32	<b>50</b>		

\* კვერცხების რაოდენობასთან მიმართებაში

#### თავი 4.

##### რადიაციის გავლენა თუთის აბრეშუმხვევიას პროდუქტიულობაზე

ნატურალური აბრეშუმის ბოჭკო ერთ-ერთი ძვირფასი და ძვირად ღირებული ნედლეულია ყველა საფეიქრო ბოჭკოებს შორის. ნატურალური აბრეშუმი ხასიათდება მაღალი ჰიგროსკოპული თვისებებით, კარგი სიმაგრითა და დრეკადობით, წარჩინებული ბზინვადობით და მიმზიდველობით. აბრეშუმისგან ამზადებენ მსუბუქსა და ლამაზ ქსოვილებს, იყენებენ აგრეთვე მედიცინაში (ქირურგიულ ძაფად), ტექნიკაში (საიზოლაციო მასალად), თავდაცვის მრეწველობაში და სხვ.

განსხვავებულმა ეკოლოგიურმა და კლიმატურმა პირობებმა, აგრეთვე ბუნებრივი და ხელოვნური შერჩევის სხვადასხვა მიმართულებამ წარმოშვა აბრეშუმის ჭიის მრავალი ჯიში, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან, როგორც ბიოლოგიური, ისე ტექნოლოგიური (პარკის) თვისებებით.

განსხვავება ჯიშებს შორის ერთიმეორისგან მით უფრო დიდია, რამდენადაც მათი წარმოშობის ადგილები დაშორებული არიან.

გეოგრაფიული წარმოშობის ერთ ჯგუფში შემავალი ჯიშების ჭიები სამეურნეო ნიშან-თვისებებით მნიშვნელოვნად წააგავს ერთმანეთს, თუმცა მათ შორის არის საგრძნობი განსხვავებაც. აბრეშუმის ჭიის ჯიშები გეოგრაფიული წარმოშობის მიხედვით შეიძლება დავყოთ ხუთ მთავარ ჯგუფად:

1. დასავლეთ აზიის (მასში შედის მცირე და შუა აზიის პირობებში წარმოშობილი ჯიშები);
2. ევროპული;
3. იაპონური;

4. ჩინური;

5. კავკასიური.

თითოეულ ჯგუფში შედის რამოდენიმე ათეული ჯიში. მიუხედავად მათი სიმრავლისა, შესაძლოა ერთ ჯგუფში შემავალი განსხვავებული ჯიშების ზოგადი დახასიათება გავაერთიანოთ რიგი ბიოლოგიური და ტექნოლოგიური ნიშან-თვისებების დაახლოებით ერთნაირი მაჩვენებლების გამო.

ექსპერიმენტის მსვლელობის პერიოდში თავდაპირველად მოხდა ჯიშებისა და ჰიბრიდების შერჩევა.

#### 4.1 2001-2003 წლების ექსპერიმენტი

2001 წელს ჩატარებულ ექსპერიმენტში აღებული იყო თუთის აბრეშუმმხვევიას მარხამატის ჯიში, რომელიც დასხივდა 10, 20 და 30 გრეი დოზებით. ცდის თითოეულ ვარიანტში შეირჩა 100-100 გრენა. მიღებულმა შედეგებმა გვაჩვენა, რომ აღნიშნული დოზებით დასხივება უარყოფით გავლენას ახდენს თუთის აბრეშუმმხვევიას როგორც პარკის ასევე გარსის მასებზე.

2002 წელს ექსპერიმენტი მიმდინარეობდა იგივე ჯიშზე, ოღონდ დასხივების დოზები იყო 0.5, 1, 2, 5 და 10 გრეი. ცდის შედეგებმა დაგვანახა, რომ 2 გრეიზე მეტი დოზებით დასხივება უარყოფით გავლენას ახდენს თუთის აბრეშუმმხვევიას ყველა მაჩვენებელზე.

2001-2002 წლების ექსპერიმენტებით შეირჩა თუთის აბრეშუმმხვევიას ის ჯიშები და ჰიბრიდები, რომლებზეც გაგრძელდა ექსპერიმენტი შემდეგ წლებში.

2003 წელს ჩატარებულ ექსპერიმენტში გამოყენებული იყო მზიური ჯიში და ხაზთაშორისი ჰიბრიდები:

1. მზ-4-1;



2. ხ-4;

3. მზ-2Xხ-4;

4. 4-II.

აღნიშნული ჯიშებზე ცდა ტარდებოდა საკონტროლო და საცდელ ობიექტებზე და დასხივების დოზები იყო 1 და 2 გრეი (დანართი 1).


მიღებული მონაცემები დამუშავდა სტატისტიკურ და რეგრესიულ ანალიზში ცნობილი მეთოდებით. მონაცემთა თითოეული ჯგუფისათვის დავთვალეთ საშუალო კვადრატული გადახრა ნდობის ინტერვალით. მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით აგებულ იქნა გრაფიკი (ნახ.4.1.1 გვ. 64).

როგორც ნახაზიდან ჩანს, თითქმის ყველა ჯიშისათვის, გარდა ერთისა (4-II), რადიაციის მცირე დოზები უარყოფით გავლენას ახდენს და ყველა მაჩვენებელი ეცემა საკონტროლო ვარიანტთან შედარებით. მზ-4-1 ჰიბრიდისათვის საკონტროლოსთან შედარებით პარკის მასა მატულობს. გარდა ამისა აღნიშნული ჰიბრიდი უფრო კარგ შედეგს იძლევა გარემოს უარყოფით პირობებთან შეგუების თვალსაზრისით.


თუთის აბრეშუმმხვევიას გარსის მასის რაოდენობრივი და თვისობრივი შედეგების გამოყენებით აგებულ იქნა გრაფიკი (ნახ. 4.1.2 გვ. 65).

როგორც ნახაზიდან ჩანს თუთის აბრეშუმმხვევიას «მზიური» ჯიშის ხაზთაშორისმა ჰიბრიდმა მზ2Xხ4 საუკეთესო შედეგები აჩვენა. ანუ 1 გრეი დოზაზე გარსის მასა მაქსიმალურია და ტოლია 530,7 მგ-ის, შემდგომ ეცემა და ორ გრეი დოზაზე 470 მგ-ია. მზ4-I ჰიბრიდს არავითარი ცვლილება არ განუცდია, ანუ როგორც საკონტროლო, ასევე 1 და 2 გრეი დოზებზე თითქმის ტოლია. რაც შეეხება «მზიურის» ჯიშის ხაზთაშორის ჰიბრიდებს ხ-4 და 4-II-ს, უნდა

აღინიშნოს, რომ ხ-4-მა საკონტროლო და 1 გრეი დოზის შემთხვევაში თითქმის ერთნაირი შედეგები მოგვცა, ხოლო 2 გრეი დოზაზე გარსის წონამ საკმაოდ დაიკლო. 4-II ჰიბრიდისათვის საუკეთესო შედეგები საკონტროლო ვარიანტში იყო და შემდეგ მკვეთრად ეცემა.



ნახ.4.1.1



ნახ.4.1.2

#### 4.2 2004 წლის ექსპერიმენტი

2004 წელს ექსპერიმენტში გამოყენებული იყო „მზიურის,, წმინდა ჯიშები და ხაზთაშორისი ჰიბრიდები, ვინაიდან 2003 წელს აღნიშნულმა ობიექტებმა აჩვენა საუკეთესო შედეგები:

1. 4-II X მზ-4;
2. მზ-4-1 X მზ-2 X ხ-4;
3. ხ-4-2 X მზ-2 X ხ-4;
4. ხ-4.

აღნიშნული ჰიბრიდი დასხივდა 1 და 2 გრეი დოზებით. მიღებული შედეგების საფუძველზე აგებულ იქნა გრაფიკი (ნახ. 4.2.1. გვ. 67).



როგორც ნახაზიდან ჩანს, I-მა ჰიბრიდმა საუკეთესო შედეგი საკონტროლო ვარიანტში აჩვენა, ხოლო შემდეგ კლებულობს. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს ჰიბრიდი რადიაციის მიმართ მგრძობიარეა და მცირე დოზებიც კი უარყოფითად მოქმედებს.

II და IV ჰიბრიდისათვის დასხივების 2 გრეი დოზა კარგ ეფექტს იძლევა, ანუ ორივე შემთხვევაში პარკის მასა გაიზარდა და შეადგინა 1930 მგ, ხოლო დასხივების დოზის მატებასთან ერთად პარკის მასა ეცემა.

III ჰიბრიდისათვის საუკეთესო მაჩვენებელი 1 გრეი დოზაზე მიიღწევა. თუ საკონტროლო ვარიანტში პარკის მასა უდრიდა 1830 მგ-ს, 1 გრეი დოზაზე მიაღწია პიკს და გაუტოლდა 1924 მგ-ს. შემდეგ 2 გრეი დოზაზე მკვეთრად დაეცა, რის გამოც შეიძლება დავასკვნათ, რომ აღნიშნული ჰიბრიდისათვის საუკეთესო მაჩვენებელს 1 გრეი დოზა იძლევა.

2004 წელს ჩატარებული ექსპერიმენტის მონაცემებზე დაყრდნობით თუთის აბრეშუმმხვევიას გარსის მასების მონაცემების გამოყენებით აგებულ იქნა გრაფიკი (ნახ. 4.2.2 გვ. 68).

ნახ. 4.2.1



როგორც ნახაზიდან ჩანს, ჰიბრიდმა 4-IIXმზ-4 დაითრგუნა მცირე დოზებზე. და თუ მისი მნიშვნელობა საკონტროლო ვარიანტში 550 მგ-ს უდრიდა, 2 გრეი დოზაზე 46-მგ-მდე დაეცა. დანარჩენი ჰიბრიდები გამოსაყოფია II-4-2Xმზ-2Xხ-4, რომელმაც 1 გრეი დოზაზე პიკს მიაღწია და საკონტროლო ვარიანტთან შედარებით 12%-ით გაიზარდა, 2 გრეიზე კი საკმაოდ დაეცა და მისი განვითარება საკონტროლოსთან შედარებით ნაკლებია.

დანარჩენი ჰიბრიდებისათვის საუკეთესო შედეგი 2 გრეი დოზაზე დაფიქსირდა, თუმცა პროცენტულად IV ვარიანტისათვის მოიმატა 6%-ით, ხოლო II ჰიბრიდისათვის 16%-ით. დასხივების მეტ დოზებზე ორივე ჰიბრიდის გარსის მასის რაოდენობრივი მნიშვნელობა მკვეთრად ეცემა.

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ 2 გრეი დოზა საუკეთესო გავლენას ახდენს ორივე ჰიბრიდისათვის.

2004 წელს ექსპერიმენტი ჩატარდა თუთის აბრეშუმმზვევიას «მზიური» ჯიშის პარკისა და გარსის რაოდენობრივი ცვლილებების დასადგენად პროლონგირებულ დასხივებაზე.


ცდაში გამოყენებული იყო 375, 750, და 1500 მლრ/სთ დოზების სიმძლავრეები. მიღებული მონაცემების საფუძველზე აგებული იქნა გრაფიკი (ნახ.4.2.3 გვ. 70).

ნახაზიდან ჩანს, რომ 375 მლრ/სთ დოზის სიმძლავრე, როგორც პარკის ასევე გარსის მასაზე არავითარ ცვლილებას არ იძლევა. რაც

შეეხება 750 მლრ/სთ დოზის სიმძლავრეს, პარკის მასამ მოიმატა 7%-ით, ხოლო გარსის მასამ 2%-ით. მეტი სიმძლავრის დოზაზე  $15 \times 10^6$  მლრ/სთ ორივე მაჩვენებელმა საკმაოდ დაიკლო და საკონტროლო მაჩვენებელთან შედარებით 10 – 12%-ით შემცირდა.

საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 750 მლრ/სთ დოზის სიმძლავრე საუკეთესო შედეგს იძლევა „მზიურის,, ჯიშისათვის.

ნახ.4.2.3



### 4.3 2005 წლის მონაცემები

2005 წელს ცდისთვის შეირჩა თუთის აბრეშუმმხვევიას «მზიური» ჯიში მზ4-I. ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგები მოცემულია დანართ 3-ში.

ცდა მიმდინარეობდა პროლონგირებული დასხივებით. თუთის აბრეშუმმხვევიას გრენა დაიყო ჯგუფებად ნადებების სახით.

ექსპერიმენტი მიმდინარეობდა ორგვარად:

1. ერთ შემთხვევაში გვქონდა საკონტროლო და პროლონგირებული (დასხივების დოზები 2+2+1 გრეი) ვარიანტები;
2. მეორე შემთხვევაში იყო საკონტროლო, პროლონგირებული (ჯამური დოზა 5 გრეი), მწვავედ დასხივებული (დოზა 5 გრეი) და პროლონგირებული (ჯამური დოზა 10 გრეი) ვარიანტები.

მონაცემთა თითოეული ჯგუფისათვის დავთვალეთ საშუალო კვადრატული გადახრა ნდობის ინტერვალით.

ექსპერიმენტის პირველი ჯგუფისათვის მიღებული შედეგები მოყვანილია ცხრილ 4.3.1-ში (გვ. 72).


ცხრილიდან ჩანს, რომ პროლონგირებული დასხივება ჯამური 5 გრეი დოზით შედარებით ზრდის თუთის აბრეშუმმხვევიას როგორც პარკის, ასევე გარსის მასებს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თუ დავითვლით პროცენტულად გარსისა და პარკის მასების მატებას, ნათლად გამოჩნდება, რომ პარკის მასამ გაცილებით მეტად მოიმატა, ვიდრე გარსის მასამ. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ პროლონგირებული დასხივება 5 გრეი დოზით მეტად ზრდის თვით ჭურჭლის წონას, ვიდრე გარსის ანუ აბრეშუმის მასას.

ექსპერიმენტის მეორე ჯგუფზე მიღებულ მონაცემებისათვის დავთვალეთ პროცენტი საკონტროლო ვარიანტთან შედარებით.




თუთის აბრეშუმხვევიას პარკისა და გარსის მასებისათვის აგებული გრაფიკიდან (ნახ. 4.3.1 და ნახ. 4.3.2 გვ. 73, 74) ნათლად ჩანს, რომ 5 გრეი დოზით დასხივებისას, როდესაც გრენაზე ზემოქმედება

ნახ.4.3.1



ნახ. 4.3.2

თუთის აბრეშუმმხვევიას პარკის მასა 2005 წლის  
მონაცემებით




პროლონგირებულია, საუკეთესო შედეგს იძლევა როგორც პარკის, ასევე გარსის მასასთან მიმართებაში. რაც შეეხება დანაწევრებული დასახეების 10 გრეი ჯამურ დოზას, იგი გაცილებით ცუდ შედეგებს იძლევა. ამ დოზაზე როგორც პარკის, ასევე გარსის მასები 70-75%-მდე ეცემა საკონტროლო ვარიანტთან შედარებით.


ამ წელს ჩატარდა აგრეთვე ექსპერიმენტი თუთის აბრეშუმმხვევიას «მზიური» ჯიშისათვის გაზაფხულის (კარგი) და ზაფხულის (ცუდი) გამოკვების რეჟიმებში. ნადებები ორივე შემთხვევაში დასხივდა პროლონგირებულად 1+2+2 გრეი და მწვავედ

– 5 გრეი დოზებით. მიღებული შედეგებისათვის დავთვალეთ პროცენტულად პარკისა და გარსის მასები და ავაგეთ გრაფიკები (ნახ. 4.3.3 და ნახ. 4.3.4 გვ. 76, 77).

როგორც ნახაზებიდან ჩანს, გამოკვების უფრო ხელსაყრელი რეჟიმი მეტად ზრდის თუთის აბრეშუმმხვევიას «მზიური» ჯიშის აღნიშნულ ჰიბრიდის გარსისა და რაც უფრო მნიშვნელოვანია, პარკის მასებს.



**ბავშვების რეჟიმებისა და დანხივების ტიპის  
გავლენა თქმის აბრეშუმისხვევის ბარის მასაზე**



## დასკვნები

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, მიღებული მონაცემებით შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. 10, 20, 30 გრეი დოზით გამა გამოსხივების ზემოქმედება უარყოფით გავლენას ახდენს აბრეშუმმხვევიას ჭიის ცხოველმყოფელობაზე, პროდუქტიულობაზე, განსაკუთრებით პირველ და მეორე ასაკში დასხივებულთათვის. 900 გრეი დოზით მარხამატის ჯიშის აბრეშუმმხვევიას ჭუპრებზე, მათი პარკებიდან გამოსვლის ორი – სამი დღით ადრე დასხივება არ არის სასიკვდილო;
2. მწვავე დასხივების 2 გრეი დოზაზე მეტი საზიანოა თუთის აბრეშუმმხვევიას ნებისმიერი ჯიშისა და ჰიბრიდისათვის;
3. მწვავე დასხივების 1 გრეი დოზა ზრდის თუთის აბრეშუმმხვევიას გარსის მასას, თუმცა პარკის მასა უმნიშვნელოდ იზრდება; აღნიშნულ დოზაზე იზრდება თვით ჭუპრის მასა და არა აბრეშუმის რაოდენობრივი შემცველობა;
4. დასხივების ორი გრეი დოზა იწვევს “მზიურის” წმინდა ხაზის პარკის მახასიათებლების ჩამორჩენას საკონტროლო პარკის მაჩვენებლებთან შედარებით;
5. იგივე დოზა მზიური 4-ის ხაზთაშორის ჰიბრიდების პარკებზე დადებით ეფექტს იძლევა, რაც გამოიხატება პარკისა და გარსის მასის და აბრეშუმინობის მატებით;
6. გამა გამოსხივების ორი გრეი დოზით დასხივებას არსებითი გავლენა აქვს დაავადების მიმართ რეზისტენტობაზე;

7. წინა თაობების დასხივება ამაღლებს მომდევნო თაობის ჭიების გამძლეობას როგორც გამა რადიაციის მიმართ, ასევე ზაფხულის არახელსაყრელი პირობებისადმი;
8. ერთჯერადი ხუთი გრეი დოზით გამა რადიაციის ზემოქმედება თუთის აბრეშუმხვევის მქონე გრენაზე მკვეთრად თრგუნავს ორგანიზმის ცხოველმყოფელობას განვითარების მთელ პერიოდში, შედარებით იმავე ხუთი გრეი დოზით დასხივებისას დანაწევრებული ფორმით 1-2-2 გრეი, ერთი თვის ინტერვალებით;
9. პროლონგირებული დასხივებისას (ჯამური დოზა 5 გრეი) აუცილებელია თუთის აბრეშუმხვევიას გამოკვების საუკეთესო რეჟიმის შერჩევა, რათა მეტად გაიზარდოს გარსის მასა, ვიდრე პარკისა;
10. თუთის აბრეშუმხვევის გამა რადიაციის ზემოქმედება 375 და 750 მლრ/სთ დოზით, ჯამური დოზა თვითოეული ჯგუფისათვის ხუთი გრეი, არ იწვევს ჭიების გადარჩენის, ვარგისი პარკების და მათგან გამოსული პეპლების შემცირებას, ხოლო 1500 მლრ/სთ დოზის სიმძლავრე მკვეთრად თრგუნავს და ბევრად აქვეითებს თუთის აბრეშუმხვევიას სიცოცხლისუნარიანობას;
11. ქრონიკული დასხივებისას 750 მლრ/სთ დოზის სიმძლავრე (ჯამური დოზა 5 გრეი) საუკეთესოა ყველა სხვა დანარჩენებთან შედარებით, თუმცა მეტად იზრდება პარკის მასა, ვიდრე გარსისა;



ჯიში ან ჰომრიდი, დასხივების დონა	პარკის მასა, მგ	გარსის მასა, მგ	ჯიში ან ჰომრიდი, დასხივების დონა	პარკის მასა, მგ	გარსის მასა, მგ	ჯიში ან ჰომრიდი, დასხივების დონა	პარკის მასა, მგ	გარსის მასა, მგ
1	2	3	1	2	3	1	2	3
4-II, კონტროლი	2000	518	mz-2Xx-4, kontroli	2200	495	mz-2Xx-4, 2 grei	1900	509
	1900	539		2000	570		2000	470
	2600	558		2300	454		2100	473
	2600	540		2400	527		2100	461
	2500	494		1700	414		2000	447
	2400	498		1600	440		1700	477
	1900	477		2300	503		2200	454
	2000	523		2000	526		2300	499
	2600	533		1700	520		1900	530
	1900	557		1900	499		1700	434
	1900	526		2300	466		2300	510
	1900	537		1800	500		2200	457
	1900	501		1700	456		2000	455
	4-II, 2 გრეი	2200		420	mz-2Xx-4, 1 grei		2400	514
1800		500	2400	490		2300	498	
1800		529	2500	518		1800	419	
2200		486	2200	497		2100	461	
2000		470	2200	541		2100	469	
1800		490	2300	494		1700	470	
2000		405	2600	564		2200	444	
2000		475	2300	602		2200	489	
2200		510	2500	540		1600	466	
1600		437	2600	495		2000	462	
1800		479	2000	540		1600	475	
2100		480	2400	510		1800	456	
1500		394	2000	515		1700	457	
2400		488	2200	557		2000	455	
